ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათს და პარასკევს | №41 (1671) | 9–11 ივნისი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი

«შევვარდნაძემ იმ წუთში ხმა ჩაიკმინდა... თვითონ ნახავს, რა მინდა მე!..»

მე-2 გვერდი

თქვენ გგონიათ, თქვენი ცოდვები იმან იცვირთა, ვინც ავკაცობისთვის წოდებები და ჯილდოები ჩამოგირიგათ...

მე-3 გვერდი

1961 წლიდან თბილისში იატაკქვეშა მრეწველ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია მოქმედებდა



მე-6 გვერდი

სასამართლო პროცესებზე

«ამათ მოკლეს ჩემი ძმაკაცები და რომ გამოვალ, ყველას მოვთხოვ პასუხს». – დაემუქრა შსს-ს თანამშრომლებს გიგა გელაშვილი

მე-9 გვერდი

გიორგი ხრიკულმა „ელიზის“ პრეზიდენტი აამხილა

რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისათვის და მისი გაკვეთილები

მე-5 გვერდი



ფიფას ახალი პრეზიდენტი იოზეფ ბლატერია!

მე-10 გვერდი

«...შევარდნაძემ იმ წუთში ხმა ჩაიკმინდა... თვითონ ნახავს, რა მინდა მე!..»

— ბ-ნო აკაკი, თქვენს კატეგორიულ მოთხოვნას პრეზიდენტის გადადგომის თაობაზე მისი მხრიდან რადიოინტერვიუს ტრადიციის დარღვევა მოჰყვა და მან პირადად მოგმართათ თქვენ. როგორ ფიქრობთ, ტრადიციონალისტთა კავშირის გაკოტრებული ლიდერი შევარდნაძეს ჩათვალა პასუხის გაცემის ღირსად, თუ თქვენს უკან მდგარი ძლიერი პოლიტიკური ძალა იგულისხმა, რომელსაც აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე უდგას სათავეში?

— მე იმხელა ვარ, შევარდნაძე ჩემს უკან ვერავის ვერ დაინახავს, ასლან აბაშიძეზე კი ქართული პრესა წერს და არ არის ეგ ჩემი საქმე!

— ე. ი. თქვენ ჩაგთვალათ სერიოზულ ოპონენტად?

— თუ მკითხა, შენ თვითონ გინდა, თუ სხვა გინდაო. აი, ვნახავთ, რა როგორ მინდა. თვითონ ნახავს შევარდნაძე, რა მინდა მე!

— ეს გაბრაზებული პოლიტიკოსის მუქარაა, თუ კონკრეტული ნაბიჯი გაქვთ ჩაფიქრებული?

— რატომ არის მუქარა, დავიწყე ხელმოწერების შეგროვება. ამაზე რბილი და კარგი რა გავაკეთოთ. აშკარად ეტყობა, რომ დაიღალა. მინდა დაისვენოს.

— თქვენ ალბათ, თვლით, რომ პირველი ხართ, მაგრამ საპარლამენტო ოპოზიციიდან საკმაოდ სერიოზულმა ძალებმაც მოითხოვეს პრეზიდენტის გადადგომა.

— დამისახელეთ, რომელმა...

— მაგალითად, „ლეიბორისტების“ ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა.

— მაგან თქვა, არ იქნება ცუდი, თუ გადადგებაო. სოციალისტებმა, სარიშვილმა, მამუკა გიორგაძემ თქვეს, არ უნდა გადადგესო. ეს ჩვენი კავშირის გადაწყვეტილებაა და ყველანაირად ვეცდებით, იგი ბოლომდე მივიყვანოთ.

— ამ ეტაპზე პრეზიდენტის გადადგომა ხელს ხომ არ მისცემს სხვა ძალებს, რაც ქაოსს გამოიწვევს და ამჟერულ წყალში თევზის ჭერას გააძნელებს. იქნებ, კორუფციული სამთავრობო აპარატის გადადგომა სჯობდეს?

— ჯერ ერთი, არა მგონია ვინმემ რუსეთს იმაზე უკეთესი საქმე გაუკეთოს, ვიდრე შევარდნაძე უკეთებდა და უკეთებს, რატომღაც რუსების ბოლო ხანს იმ ადამიანებს ეშინიათ, ვინც უწინ მას ემსახურებოდნენ. მეორეც, რომელი კორუფციული აპარატი უნდა გადადგეს, რომლის სათავეშიც ედუარდ შევარდნაძეა? გადადგეს თვითონ და მერე ვნახავთ, აპარატი იქნება თუ არა კორუმპირებული.

— საპრეზიდენტო არჩევნებში ვინ გესახებათ კონკრეტულ კანდიდატებად?

— მე უკვე ჩამოვთვალე პრესკონფერენციაზე. სერიოზულ კანდიდატებზე მეტი რა იქნება... ერთი ხუთი იქნება სერიოზული და ერთი ორმოცდახუთი — არასერიოზული.

— პირველ ხუთეულში ყვანიასაც გულისხმობთ?

— თუ შევარდნაძე არ იყრის კენჭს, მაშინ ჟვანია გაბედავს და დაისახელებს თავს.

— მისცემთ ხმას?

— ჟვანიას რატომ, მე ჩემს თავს მივცემ ხმას.

— ე. ი. თქვენც მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატი ხართ?

— ვიფიქრებ ამაზე.

— ბ-ნო აკაკი, მოვლენებს რომ უკან დავუბრუნდეთ... არძინბას მიერ აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ უმაღლესმა საბჭომ დატოვა იქაურობა და თბილისში გადმოსახლდა, რამაც ფაქტიურად მას მოქმედების ფართო სარბიელი დაუტოვა. თქვენ ფიქრობთ, რომ ეს დასაწყისი იყო იმ მოვლენებისა, რაც დღეს გრძელდება გალში?

— თქვენ ნანახი გაქვთ ის დოკუმენტი, რომლითაც არძინბამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა?

— პირადად მე არა.

— ვერც ნახავთ იმიტომ, რომ

არ გამოუცხადებია.

— მაშ, რა იყო პროტესტის მიზეზი, რაც აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ დაასახელა?

— ნადარეიშვილს უნდა ჰკითხოთ!

— თქვენ თვლით, რომ მიზეზი საფუძველს მოკლებული იყო?

— ასე ვთვლი ზუსტად. ეს დიდი შეცდომა იყო! სხვათა შორის, არძინბა დამოუკიდებლობას კი ხანს არ აცხადებდა. ომი როცა მოიგო, მაშინ გამოაცხადა და უზენაესი საბჭოდან ქართული დეპუტაციის გამოსვლა გახდა დეტონატორი მთელი ამ მოვლენებისა. რატომ ქნა ნადარეიშვილმა, ეს მე არ ვიცი.

— დღევანდელობაში მიმდინარე სისხლისღვრა გალის რაიონში ლოგიკურად ამ შეცდომის გაგრძელებაა, თუ უფრო შორიდან მოდის?

— ყველაფერი 1921 წლის ლოგიკური გაგრძელებაა, შემდეგ შევარდნაძის 1978 წლის გადაწყვეტილებების აფხაზეთში, შემდეგ 1992 წელს გაუქმებული კონსტიტუცია, რომლითაც აფხაზეთი საქართველოზე იყო მობმული. ამის სანინაალმდეგო არგუმენტი არავის არ გააჩნია. მიედ-მოედებიან სისულეებს, ოღონდ თავი იმართლონ. აპარტეიდის ხსენებაზე შევარდნაძემ იმ წუთში ხმა ჩაიკმინდა. არც იცის, რას ნიშნავს. თავის დროზე „პრავდაში“ წერდნენ, რომ აპარტეიდი ცუდია, მაგრამ რას ნიშნავდა, არც ერთი ცეკას მდივანი ამას არ კითხულობდა... ჩვენ დავტოვეთ ისეთი კონსტიტუცია, რომ უქართველებოდ ვერ გადაწყდებოდა იქ ვერაფერი. ორი მესამედი სჭირდებოდა ყველა იმ გადაწყვეტილებას, რასაც ახლა არძინბა იღებს. იმ კონსტიტუციით ის ამას ვერ იზამდა, რასაც სტატუსის შეცვლა, რეფერენდუმის ჩატარება, ავტონომიური რესპუბლიკის სტრუქტურის შეცვლა ჰქვია, ვერ შეძლებდა ორი მესამედი ქართველის გარეშე. ახლა ამბობენ, არძინბას ბრალიაო. მისი კი არა, ჩვენი მხარის ბრალია, როგორც პოლიტიკური ბრძოლის, ისე სამხედრო და ლოგიკურად პროპაგანდისტული ომის წაგება. ჩვენი უნიათობის, ჭკუამოკლეობის და ხანდახან ღალატის ბრალია ეს.

— გამოსავალი გვითხარით, ბ-ნო აკაკი...

— შევარდნაძე უნდა გადადგეს! არჩევნების მომზადებას 45 დღე სჭირდება. გარწმუნებთ, არანაირი ქაოსი არ იქნება. ხალხს რომელი საარჩევნო პროგრამაც მოეწონება, იმას აირჩევს და ის კურსი განხორციელდება... შვიდი წელია, ვიძახი, გავიყვან რუსის ჯარს და დაველაპარაკები პირდაპირ აფხაზებს მარტივად: ან ახლა შევთანხმდებით, ან იქნება ომი, რომელსაც ჩვენ თქვენ მოგიგებთ, ჯობია დაგვითმოთ, ჩვენც დაგითმობთ ცოტას. ეს მოგვიტანს შედეგს!

— რუსის ჯარს როგორ გაიყვანთ?

— თუ გავიმარჯვეთ, პარლამენტში გადაწყვეტილებას მივიღებთ, სადაც უთხრეს, იგივე ბალტიისპირეთსა და აზერბაიჯანში — გადიო, ხომ გავიდა.

— ხომ შეიძლება, რუსის ჯარმა არ შეასრულოს და წინააღმდეგობამ ომი გამოიწვიოს, რომელსაც ჩვენ წავაგებთ?

— დარწმუნებული ვარ, დატოვებენ. ერთადერთი საშუალება იმის დასამტკიცებლად, მე ვარ მართალი, თუ თქვენ, გადაწყვეტილების მიღებაა.

— არძინბაზე რომ სამშვიდობო ჯარების მიერ აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება მოითხოვა, რა გამოვიდა?

— არძინბა არ არის საქართველოს ხელისუფალი საერთაშორისო სამართლით. რუსი საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას დაემორჩილება მარტო და იმიტომ ცდილობს, არ მიალებინოს ასეთი გადაწყვეტილება.

— ეს გთამაშებული ფარსი იყო, არა?

— რა თქმა უნდა, ახლა შაშიაშვილმა რომ თქვას, რუსის ჯარმა საქართველო დატოვოსო, დაემორჩილება? ერთადერთი, რაც გვაქვს, ეს მსოფლიოს მიერ აღიარებული ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა არის. ჩვენ თუ ვიტყვით, გავლენ; არძინბა თუ იტყვის, არ გავლენ. ის კარგი ბიჭიც გამოვიდა დასავლეთის თვალში და ჩვენს მთავრობას თავსლაფიც დაასხა. ჩვენებმა უპასუხეს ამ კრეტინულ პროვოკაციას, რაც მივიღეთ, ყველანი ვხედავთ ამას. როცა დამიჯერებენ, ყველაფერი ნორმალურად მოეწყობა, თუ არა და ასეთ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲘᲥᲐᲩᲔᲑᲐ

დღეს, 11 საათზე წერეთლის გამზირის №39-ში მცხოვრებლებმა გადაკეტეს წერეთლის გამზირი. გეას კორესპონდენტთან საუბრისას ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა, ლილი ბუნტურიძემ განაცხადა, რომ ისინი მოითხოვენ პარლამენტის თავმჯდომარესთან, დიდუბის რაიონის გამგებელთან და რაიონის დეპუტატთან, გიორგი ბარამიძესთან შეხვედრას. საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა მოთავსებულია 116-ე და 166-ე სკოლის შენობებში. გეა-სთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ 116-ე სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია. ლილა ბუნტურიძემ აღნიშნა, რომ ბოლო 4 დღის განმავლობაში მთავრობას უნდა გადაეწყვიტა დაზარალებული მოსახლეობის საკითხი. უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ეს შენობა ავარიულ მდგომარეობაში იყო და არ ტარდებოდა არავითარი სარემონტო სამუშაოები. გარდა ამისა, დიდუბის რაიონის შენობების 90% წყალში დგას. მოსახლეობის თქმით, თუ ეს აქცია შედეგს არ მოიტანს, ისინი შტურმით აიღებენ პარლამენტის შენობას.

ᲓᲐᲓᲒᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ



„აუცილებელია საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რადგან მან არ შეასრულა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის დავალება, რის შედეგადაც შეფერხება მოხდა გალის რაიონიდან დევნილთათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებაში“- განაცხადა დღევანდელ პრესკონფერენციაზე კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის კავშირის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ზაზა აგლაძემ.

კავშირის თავმჯდომარის, გიორგი ნადარეიშვილის თქმით, იმის გამო, რომ დახმარება სხვადასხვა არხებიდან მოვიდა და არ არსებობდა კოორდინაცია, მოხდა ის, რომ „მარცხენა ხელი ვერ ხედავდა, რას აკეთებდა მარჯვენა.“ „ამის გამო ვიღაცამ პასუხი უნდა აგოს“- თქვა ნადარეიშვილმა.

აგლაძემ აღნიშნა, რომ „როცა კავშირს ხელთ ექნება თანამდებობის იმ პირების მაკომპრომეტირებელი შესაბამისი მასალები, რომლებიც გალის რაიონიდან დევნილთათვის ჰუმანიტარული დახმარების განაწილებით არიან დაკავებულნი, კავშირი სარჩელს აღძრავს.“ გარდა ამისა, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის კავშირი მოპოვებულ მასალებს პარლამენტში შეიტანს მათი შემდგომი შესწავლის მიზნით.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲑᲚᲝᲙᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს, ირინა სარიშვილი-ჭანტურიას კომუნისტურ პარტიების ბლოკის ჩამოყალიბება რუსეთის მიერ შედგენილი იმ სცენარის ნაწილად მიაჩნია, რომლის მიხედვითაც ბოლო პერიოდში საქართველოში მოვლენები ვითარდება.

როგორც სარიშვილი-ჭანტურიამ გეა-ს კორესპონდენტს განუცხადა, ეს სცენარი საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკისა და ნავთობსადენის პროექტის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. რაც შეხება უშუალოდ ახალ პოლიტიკურ ბლოკს, ედპ-ის ლიდერი მას „მეხუთე კოლონად“ არ მიიჩნევს, რადგან მისგან განსხვავებით ბლოკის წევრები ღიად აცხადებენ თავისი პრორუსული ორიენტაციის შესახებ და საქართველოს პრეზიდენტისგან მხოლოდ მისი კურსის ცვლილებას ითხოვენ. აქედან გამომდინარე, სარიშვილი-ჭანტურიას აზრით, ისინი არც სერიოზულ სახელმწიფოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენენ.

გეა.

ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲒᲐᲛᲝ

მიგვაჩნია, რომ

1. კანონპროექტის ტექსტი ავლენს ავტორთა სრულ იურიდიულ მოუმზადებლობას, ხელისუფლებათა განაწილების პრინციპის და უდანაშაულობის პრეზუმპციის პრინციპის არცოდნის ჩათვლით.
2. პროექტი უგულებელყოფს კორუფციასთან ბრძოლის ძირითად მეთოდს — საჯაროობას.
3. კანონპროექტის კანონად ქცევა შექმნის მხოლოდ ქრთამების განაწილების ახალ სისტემას და განამტკიცებს ავტორიტარულ რეჟიმს.
4. კანონპროექტი უთანხმოებაშია კონსტიტუციასთან.

თქმულიდან გამომდინარე, კანონპროექტის მიღება მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

ᲡᲒᲠᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ!

ᲒᲐᲖᲔᲗ «ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ» ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ, ᲑᲐᲢᲝᲜ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲡ

მოგმართავთ, როგორც დემოკრატიისა და საჯაროობის ღირსეულ ტრიბუნს. ა. წ. 2 ივნისს, თქვენს რეზიდენციაში, თქვენივე ინიციატივით მიიწვიეთ ყველა დამოუკიდებელი გამოცემისა და საინფორმაციო საშუალების ხელმძღვანელი, რომელთაც ესაუბრეთ გალის მოვლენებზე, ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და თქვენი პოლიტიკური კურსის მართებულობაზე.

ჩვენდა სამწუხაროდ, რატომღაც გაზეთი „საქართველო“ გამოგრჩათ მიწვეულთა სიაში. ამდენად, არ მოგვეცა საშუალება პირადად თქვენს ბაგეთაგან მოგვესმინა თქვენივე ნაზრევი ქვეყნის ბედუბედობაზე მომავლის პერსპექტივაზე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე.

ბატონო ედუარდ, ჩვენ არ ვუწყით მიზეზი გაზეთ „საქართველოს“ თქვენთან მიუპატიჟებლობისა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს მიმართ გარკვეული ტენდენციურობა გახასიათებთ. ალბათ გულს გტკენთ ის კრიტიკა, რაც თქვენს მიმართ ჩვენს გაზეთში ისტამბება, მაგრამ გვერწმუნეთ, პიროვნულად თქვენს მიმართ კეთილად ვართ განწყობილნი. ვერ ვეგუებით მხოლოდ თქვენს მიერ განხორციელებული პოლიტიკის მწარე შედეგებს და იმ გამოთქმისა არ იყოს, თუ ხელისუფლებას ოპოზიცია არ ჰყავს, ხელოვნურად უნდა შევუქმნათო, ჩვენც მიგვაჩნია, რომ ერთგვარი მაღვიძარის როლს ვასრულებთ თქვენთვის.

ძვირფასო პრეზიდენტო! ნუ იკითხავთ სახოტბო წერილს, ნურც თანაშემწეების მიერ თქვენთვის მიწოდებულ შელამაზებულ ინფორმაციებს დასჯერდებით, იკითხეთ გაზეთი „საქართველო“ და გეცოდინებათ, რა დღეშიც ვართ და რა დღეშიცაა ქვეყანა.

თუ არც მეორედ მიგვიპატიჟებთ თქვენთან, ამასაც ავიტანთ, ოღონდ თქვენი საწერი მაგიდის ერთი კუთხე დაუთმეთ გაზეთ „საქართველოს“ ყოველ ახალ ნომერს. გვერწმუნეთ, ეს სასარგებლო იქნება თქვენთვისაც და ქვეყნისათვისაც.

ერთი სათხოვარიც გვაქვს: ჩვენი რედაქცია თავისუფლების მოედანზე მდებარეობს და თქვენი მარშრუტიც სამსახურიდან სახლისკენ და პირიქით, სწორედ თავისუფლების მოედანზე გადის. არ დაგიმალავთ და ნამდვილად შევწუხდით — რედაქციის წინ მანქანებს არ გვაჩერებინებენ, სანამ თქვენ არ გაივლით ან არ გამოივლით. წინასწარ 2-3 საათით ადრე „ასუფთავებენ“ მოედანს მანქანებისაგან ყოველ თქვენს ავლა-ჩამოვლაზე. იქნებ უბრძანოთ, ვისაც ჯერ არს, რომ ან მანქანების გაჩერებებიდან გაყვანის დრო შეამცირონ ან სხვა მეთოდი მოიფიქრონ.

ბატონო პრეზიდენტო, იმედია, წაიკითხავთ ამ მიმართვას თქვენდამი და გაითვალისწინებთ ჩვენს თხოვნას, რისთვისაც წინასწარვე გიხდით უღრმეს მადლობას.

ᲦᲠᲛᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1998 ᲬᲔᲚᲘ.

თქვენ გგონიათ, თქვენი ცოდვები იმან იჯვირთა, ვინც ავკაცობისთვის წოდებები და ჯილდოები ჩამოგირიგათ...

ცხადზე ცხადია, რომ ქვეყნის მოქალაქეთა ეგზალტირებულმა უმცირესობამ, მისმა 13%-მა, გინდაც ოპოზიციად, გინდაც ინტელიგენციად წოდებულმა, მოსასპობად გაიმეტა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ის 87%, რომელსაც სურდა მშვიდობიანი ცხოვრება და მშვიდობიანი თანაარსებობა ყველასთან, ყველგან და ყველაფერში (უმცირესობა ანუ პუტჩისტები, ასე უწოდებენ მათ ხალხში).

ასევე მტკნარი სიცრუეა უმცირესობის მიერ ოკუპირებულ საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული აზრიც „ერის შუაზე გახლეჩის" შესახებ. თანაფარდობის ამგვარად წარმოჩენა-დამკვიდრების მუხანათური მიზანი მიმართულია სწორედ ამ ეროვნული უმრავლესობის ფიზიკურ და იდეურად განადგურებისაკენ. ე. ი. უმცირესობამ, ანუ 13%-მა, რომელმაც 1991-92 წწ. კანონიერი მთავრობის იარაღის ძალით დამხობის შედეგად ბანდიტურად მიითვისა მოსახლეობის უმრავლესობის ქონება, იყო, არის და იქნება ამ უმრავლესობის — ხალხის მტერი. ეს რომ ასეა, ამის ბევრი დამადასტურებელი ფაქტები და ნიშანი არსებობს.

1. უმცირესობამ იგრძნო, რომ ის განწირულია უმრავლესობის გარეშე არსებობისათვის და ცდილობს თავისი რიგების განახლებას უდაოდ ნიჭიერი, შედარებით უცოდველი ახალგაზრდებით (მხედველობაში მყავს მ. სააკაშვილი), მაგრამ ხალხმა კარგად იცის, ვინ ვინ არის და ისიც ვიცით, რომ ყოველგვარი ბოროტება სათავეს იღებს 1991-92 წწ. უმცირესობის მიერ ინსპირირებულ ტრაგიკულ მოვლენებიდან. უზნეო უმცირესობა, რომელიც იარაღით დაუპირისპირდა არა მარტო ეროვნულ მთავრობას, არამედ ასი ათასობით ქუჩაში გამოსულ ხალხის იმ ერთადერთ მოთხოვნას, რომელიც ერის სასიცოცხლო ინტერესებს — გაერთიანებასა და სამართლიანობის აღდგენას ითვალისწინებდა, — სისხლში ჩაახრჩვეს.

2. მსოფლიოს ახალი მოწყობის ქომერული, ქართველისათვის, მისი ბუნებისათვის შეუსატყვისი იდეით გართულებმა, მხოლოდ ახლა იგრძნეს გამთლიანება-გაერთიანების აუცილებლობა, მაგრამ 6 წლით ამ საკითხისადმი შეგნებულად წაყრუებამ რეჟიმის მხრიდან, ბზარი უფსკრულად აქცია და ახლა მის ამოვსებას, გულსგარეთ, მაგრამ ხმამაღალი ყვირილით, მედიდურად, გამარჯვებულის, მეფური მოწყალებით გამოწვდილი სისხლიანი ხელებით ლამობენ. არავის სჯერა ისეთი შესარგებლად გამოწვდილი მარჯვენასი, როცა მარცხენა სილის გასაწნავადაა გამზადებული.

3. ძარცვისა და ყაჩაღობის დრო რომ მიილია, ე. წ. ოპოზიციამ და ინტელიგენციამ იარაღი გვერდზე გადადეს და სტაბილიზაცია გამოაცხადეს. დადგა დრო, სახალხო დოვლათის „საომედო" პირებში გადანაწილებისა და აქამდე მონებად, გონებაჩლუნგებად და ბრბოდ მონათლულთა უმრავლესობის აზროვნების შემორიგებისა, მათი უმცირესობის გარდაუვალ ბატონობასთან შესაგუებლად. ამ იდეოლოგიური ფარსისა და შეკრეჭილი ქვეყნის ტერიტორიების აღდგენის საქმე მთლიანად გადაულოცეს მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტიკოსს, რომლის მოგვარებაც მან სიამოვნებით იტვირთა ხონჩით მორომეული სასურველი პრეზიდენტობისათვის.

4. ზნეობრივი კომპრომისების ოსტატ პრეზიდენტს და მის რუპორ ტელევიზიას არ გაჭირვებია იმის აღიარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღადგენად რომ იბრძვიან აფხაზეთში პარტიზანები — ზვიადისტებიაო, მაგრამ არც უმისობა ითქმის, რომ ამ განცხადების მიზანი იყო ჭინ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას მომხრე ზვიადისტების დაკნინება იმისათვის, რომ მიუხედავად აკრძალვისა, ისინი მაინც შეიკრიბნენ რესპუბლიკის მოედანზე 26 მაისს, დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად და არა იმათი გმირობის წარმოსაჩენად, ვისი მეშვეობითაც უნდა მოგვარდეს თურმე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. თანაც ისე, რომ ამ „მეორეხარისხოვანი" საქმისათვის არ მოცდეს ხალხის დოვლათის ხარჯვით დაკავებული უმცირესობა.

„პუტჩისტთა უმცირესობამ, როგორც ეს გამარჯვებულებს შეეფერით, იწყეს უმრავლესობის ანუ ზვიადისტების დევნა-შევიწროება. გამოყარეს ისინი სამსახურებიდან და თავად მოკალათდნენ ყველა სტრუქტურის საკვანძო ადგილებში და რა თქმა უნდა, რადიო-ტელევიზიაშიც პირველ ყოვლისა, სადაც მთელი ძალით დაატრიალეს ეროვნული ცნობიერებისა და თავის ტვინის ცხვირდან გამომწოვი ცრუ იდეოლოგიის ეშმაკის ბორბალი. ამას ადვილად დავინახავთ, თუ თვალს მივადევნებთ „ომგადახდილ" პუტჩისტების მონაწილეობით გამართულ ტელეგადაცემებს, რომელთა ერთადერთი მიზან-დანიშნულება მათი არსებობის წყაროს, მამა და მარჩენალის ქვეშით ხეხვაა.

ტელევარსკვლავად ქცეულ ჯაფარიძის ქალის მოკლე ფეხებიან უზნეო ტყულებს თითქოს „შევეგუეთ", მაგრამ წარმოიდგინეთ სადამდე მიდის სსკ-ით ჩადენილი დანაშაულობებისათვის დაუსჯელი ადამიანის თავხედობა, როცა ამ დანაშაულობებისათვის გაგენერლებული და უმცირესობისაგან შეგულიანებული, თავისი უკანონო ქმედებების გაფერმკრთალება-გაუბრალოებით, უმრავლესობას ისე მიმართავს ტელეეკრანიდან, თითქოს ის აღმზრდელი იყოს იმ ხალხისა, ვისაც „ანცობისათვის" ცოტათი შემოუწყრა კიდეც. რა მოხდა მერე ისეთი, რომ ვერ შეეგოგდეთო. ეს ხომ ისევ თქვენდა სასკეკეთოდ ჩავიდინეთო ხალხო! ცინიზმის ასეთ ფორმას საფუძველი დაედო 1992 წლის 6 იანვრიდან, რომელიც გრძელდება დღემდე და რამაც საბოლოოდ მტრად დააშორიშორა უმცირესობა პუტჩისტებისა ხალხს — უმრავლესობას, რაც, როგორც ეს უმცირესობას სურს, ერის შუაზე გახლეჩას სრულებითაც არ ნიშნავს, რადგან ერი არ არის შენგელაიები, ლორთქიფანიძეები, ჩარკვიანები, გიგინეიშვილები, ბაჯელიძეები, რაზმაძეები, ჯაფარიძეები, ლანჩავები, კვარაცხელიები და სხვათა, შევარდნაძეს ზურგს ამოფარებული ჯგუფი მანქურთიებისა, რომელთა სრულად ჩამოთვლას, თუ კაცი მოინდომებს, ერთ საგაზეთო სტატიაში მოახერხებს და ამდენად რა წოდებისა და ხარისხის მატარებლებიც არ უნდა იყვნენ ისინი, ერის ნახევარს ვერანაირად ვერ შეადგენენ. ამიტომაც არ არის ერი შუაზე გაყოფილი ისე, როგორც ეს სურს წარმოაჩინოს უმცირესობამ. ერის ერთი მუჭა უმცირესი ნაწილი, გინდაც ცხრაჯერ ელიტარული, რომელიც

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი ამბები

დადგება დრო, როცა პრეზიდენტი თვითონ ეოიწვევს იგორ გიორგაძეს საქართველოში - დარწმუნებულია მარგიანი

„საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის აკრძალვა არ



შეიძლება" - განაცხადა საქართველოს სახალხო-პატრიოტული გაერთიანების ერთ-ერთმა ლიდერმა, ავთანდილ მარგიანმა საქართველოს გენერალური პროკურორის, ჯამლეთ ბაბილაშვილის განცხადების კომენტარებისას, რომელმაც სეკპ-ის ლიდერი, პანტელეიმონ გიორგაძე საქართველოს კონსტიტუციის საწინააღმდეგო განცხადებების გაკეთებაში დაადანაშაულა.

მარგიანის თქმით, „კომუნისტური პარტიის აკრძალვას მხოლოდ ჰიტლერი ცდილობდა და ყველასთვის ცნობილია, რაც დაემართა მას". მარგიანი თვლის, რომ ვიღაც განგებ აწყობს პროვოკაციებს და შეცდომაში შეჰყავს საქართველოს პრეზიდენტი, პანტელეიმონ გიორგაძეს და მის შვილს კი ჩირქს სცხებს.

„როგორ შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენო 72 წლის გენერალს, პანტელეიმონ გიორგაძეს?" - განაცხადა მარგიანმა. მას მიაჩნია, რომ სეკპ-ის წევრებს შეეძლოთ იგორ გიორგაძე სეკპ-ის ცკ-ის წევრად მიეღოთ, რადგან მას არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია.

„დამნაშავეა თუ არა იგი 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზებაში, უნდა დაადგინოს სასამართლომ" - თქვა მარგიანმა და რწმენა გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ „იგორ გიორგაძე ტერაქტთან არ შეიძლება რამენაირად იყოს დაკავშირებული, რადგან მანამდე თვენახევრის განმავლობაში გასული იყო თბილისიდან".

„ეს ხომ აბსურდია. ადამიანი აქ არ იყო და როგორ შეიძლებოდა ვინმეს აზრად მოსვლოდა, რომ საქართველოს საზღვრებს მიღმა მყოფი ადამიანი ბრძანებებს ტელეფონით იძლეოდა".

„თბილისში დაბრუნების შემდეგ, როცა იგორ გიორგაძემ დაინახა, რომ მოვლენები საგანგებოდ შემუშავებული სცენარის მიხედვით ვითარდებოდა, იგი კი არ გაიქცა, არამედ დატოვა საქართველოს ტერიტორია" - აღნიშნა მარგიანმა.

საქართველოს სახალხო-პატრიოტული გაერთიანების ლიდერმა გეა-ს კორესპონდენტს აცნობა, რომ თავის დროზე მან საქართველოს უშიშროების მინისტრს, შოთა კვირაიას და მის პირველ მოადგილეს, ავთანდილ იოსელიანს განუცხადა, რომ მას შეუძლია იგორ გიორგაძის თბილისში ჩამოყვანა, რათა საიდუმლო ყველასთვის ნათელი გახდეს. „მაშინ იოსელიანმა და კვირაიამ დუმილი ამჯობინეს. როგორც ჩანს, იმედი არ ჰქონდათ, რომ ჩვენი მართლმსაჯულება ობიექტური იქნებოდა" - განაცხადა მარგიანმა. მისი თქმით, მას დღესაც შეუძლია შუამდგომლის როლის შესრულება და იგორ გიორგაძის ადგილსამყოფელის პოვნა, მაგრამ „მე ცოდვას ვერ დავიდებ, რადგან ბოლო დროს არავის სჯერა ჩვენი მართლმსაჯულების". მარგიანმა არ უარყო, რომ მას დღესაც შეუძლია იგორ გიორგაძის მოძებნა და აღნიშნა, რომ „უკანასკნელი მონაცემებით, იგორ გიორგაძე ერთ-ერთ საზღ-

ვარგარეთულ სახელმწიფოში იმყოფებოდა, სადაც კონტრაქტით მუშაობდა".

„მისი მეგობრების მეშვეობით, რომლებსაც მე ვიცნობ, საჭიროების შემთხვევაში მე შევძლებდი მის მოძებნას" - განაცხადა მარგიანმა.

იგი დარწმუნებულია, რომ დადგება დრო, როცა პრეზიდენტი თვითონ გაერკვევა ყველაფერში პირადად, გაიგებს, რომ მას ატყუებდნენ და მაშინ „პირადად დაუძახებს გიორგაძეს საქართველოში".

გეა

«...შევარდნაძემ იმ წუთში ხმა ჩაიკმინდა... თვითონ ნახავს, რა მინდა მე!..»

დღეში იქნებიან ჩემი თანამემამულეები, მათ შორის მეც.

— **თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ხალხი მოგცემთ ხმას, თან იმდენს, რომ გაიმარჯვებთ კიდეც?**

— რომ არ მომცეს, იმიტომაც კარგად აქვთ საქმე. ცხოველსაც აქვს იმის შეგრძნება, რომ ცუდის შემთხვევაში უკეთესზე იფიქროს. ამის იმედი მაქვს. თუ ხმას არ მომცემენ, კიდევ უარესი იქნება, ჩემს სისწორეში შემიძლია დავარწმუნო ნებისმიერი ადამიანი. მე მიზნის მისაღწევად ყველა ხერხს არ ვხმარობ, შევარდნაძე — ხმარობს იმიტომ, რომ ბოლშევიკია. მათი პრინციპი კი ასეთი იყო: „მიზანი ამართლებს საშუალებას".

— **რა შუაშია ბოლშევიკი, ეგ ხომ მაკიაველის სიტყვებია.**

— სტალინის იდეალი იყო მაკიაველი, ოღონდ ერთი განსხვავება იყო მათ შორის: მაკიაველი თვლიდა, რომ ეს უნდა გაკეთდეს სამშობლოსათვის, ბოლშევიკები კი — საკუთარი მიზნებისათვის მხოლოდ. მაკიაველი თავისი ეპოქის შვილი იყო... დრო იყო მაშინ ასეთი...

— **როგორც შევარდნაძემ ბრძანა, თქვენი პოლიტიკური გაფურჩქვნის დრო გამსახურდიასთან ერთად წასულა და მისივე შეფასებით, ვერაფერი ვერ მოგისწრიათ.**

— მან ვერ დაინახა, ეს ნიშნავს, რომ თვითონ არის ბრმა. ისტორიამ კი დაინახა — ზვიად გამსახურდიას ყველანი ამოვუდექით მხარში და გავანთავისუფლეთ საქართველო, სხვათა შორის, ასე ხედავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაც. საქართველო გაერში, შევარდნაძის თქმით, „გეეროში" მიიღეს ჩვენს მიერ მიღებული დეკლარაციის საფუძველზე და არა მისი საერთაშორისო ავტორიტეტით. ეს არის ოფიციალური დოკუმენტი, სადაც წერია, რომ საქართველოს იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის და 9 აპრილის დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე — ასე გავიფურჩქნე მე. ახლა ვუყურებ, როგორ იფურჩქნება შევარდნაძე. ქვეყანა გაიფურჩქნოს. დროზე რომ მიხედავდეს თავს, მასაც ეშველება და ქვეყანასაც. ვფიქრობ, რომ ოცი წლის სიცოცხლე მაინც აქვს დარჩენილი. რატომ იმწარებს, ვერ გავიგე. გელა ჩარკვიანმა ბრძანა. ჩვენი პრეზიდენტი ეჭიმმა გასინჯა და ასე თქვა, 40 წლის კაცის ტვინი აქვსო. სამოცდაათი წლის კაცს თავისი ასაკის ტვინი უნდა ჰქონდეს.

განათლებულმა კაცმა, ამხელა სახელმწიფო რანგში მყოფმა რომ ასეთი სისულელე თქვა, მე მაშინ მივხვდი, საქმე ძალიან ცუდად იყო. ან სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს, ან ნათქვამში დიდი იუმორის მარცვალია. ამის მთქმელი ან დემაგოგია, ან დათვურ სამსახურს გინევს, რაც ძალიან ცუდია.

— **იქნება, ერთი ტერაქტის მოწყობა თქვენც გეცადათ, ბ-ნო აკაკი?**

— ეგ არ არის ჩემი საქმე. მე ტერაქტი არავისთვის მომიწყია.

— **ტერაქტებში დაუმარცხებელი პრეზიდენტის თავიდან მოშორება ასათიანს მისი გადადგომის მოთხოვნით მოუნდაო, ამბობენ...**

— ცნებების ერომანეთში არევა მძიმე დაავადებაა და ფსიქიატრთან მიმართვაა საჭირო. ხდება ისე, რომ, მაგალითად, ტელევიზორი ჰგონიათ უთო. ორი მიზეზით ვიყავი ტერორისტული აქტების წინააღმდეგი: კაცის კვლა თავისთავად ცუდი საქმეა და მე მორწმუნე კაცი ვარ; ძალადობას შეიძლება მოჰყვეს ქაოსი ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, ეს ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული თუ ცალკეული პიროვნებისა. მსგავსი რამ კი უკვე მოჰყვა გამსახურდიას დამხობას. მე რასაც მოვიითხოვ, არის პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მეთოდი — ვთვლი, რომ აბსოლუტურად გამართლებული მოთხოვნაა. ჯერ არ მინახავს კაცი, რომელიც ამაში არ მეთანხმება, ზოგი — ღიად, ზოგი — ფარულად.

— **მსობრივი ქაოსის საფრთხის წინაშე დღეს რეალურად ვდგავართ. ასეთ პირობებში როგორ უნდა ჩატარდეს არჩევნები?**

— ქაოსია სამეგრელოში, მისი მოქმედების შედეგად ის გადმოედება მთელს საქართველოს, ახლა პერსპექტივა არა აქვს ქვეყანას და ეს იწვევს დაძაბულობას. მოქალაქეთა კავშირი მოგვიწოდებს, ლეიბები მოუგროვეთ. დევნილებსო. გასაგებია, რომ დაბრუნებაზე ლაპარაკი არ არის, როცა გაჩნდება იმედი, შინაგანი ოპტიმიზმი, ფსიქოლოგიური განწყობა, მოლოდინი დადებითად იმოქმედებს ხალხზე.

— **მე, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, გისმენთ და თქვენს მიერ შემოთავაზებულ კონკრეტულ გამოსავალს მაინც ვერ ვხედავ. რას სთავაზობთ ამომრჩევლებს?**

— ეს საარჩევნო პროგრამის საკითხია, ხო?!

— **ძნელი დასაჯერებელია, ყველანაირი პრობლემით გაწამებულმა ხალხმა საარჩევნო პროგრამების კითხვა და შეჯერება დაიწყოს...**

— მე თუ ვიქენი, გითხარით უკვე, რუსის ჯარი გავა საქართველოდან, რის შემდეგაც ჩვენ აბსოლუტურად დამოუკიდებელი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

«...შევარდნაძემ იმ წუთში ხმა ჩაიკმინდა... თვითონ ნახავს, რა მინდა მე!..»

მესამე გვერდიდან



ქვეყანა ვიქნებით. მომხრე ვარ ქვეყნის ფედერაციულად მოწყობის, რომლის ერთ-ერთი მხარე იქნება აფხაზეთი; საქართველო რომ დადებს ხელშეკრულებას აფხაზეთთან, იმ წუთში დამთავრდება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იურიდიულად. სხვაგვარად, თუ ის არ აღიარე დამოუკიდებელ საერთაშორისო სამართალ-სუბიექტად, ხელშეკრულება არ დაიდება.

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული, რომ არძინბა თქვენ ასეთ ხელშეკრულებას დაგიდებთ. ენდობით?

— არძინბამ რუსული პრესის ფურცლებზე ჯერ კიდევ 1994-1995 წლებში დაწერა, რომ ქართველ პოლიტიკოსთა შორის ერთადერთი ნორმალური ადამიანი აკაკი ასათიანია. პოლიტიკას პიროვნებები არ წყვეტენ, ინტერესებია ამა თუ იმ ქვეყნის და ხალხის, უნდა მოხდეს ერთმანეთთან შეხამება. მე ვიცი, რომ აფხაზები ცალკე ვერ იჩხუბებენ, ვითამაშებ ამაზე. რუსებს რომ გავიყვან, ძალიან აქტიური იქნება დასავლეთის მხარდაჭერა. მე ვიცი, რასაც ვლაპარაკობ, აფხაზებთან ურთიერთობა მქონია და ნორმალური ხალხია, არც ისე უჭკუო. ჩვენ ვიქცევით, როგორც არანორმალურები, ისინი თავისი ინტერესების მიხედვით მოქმედებენ, ჩვენ — საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ.

— მათი ინტერესების მიხედვით მოქმედება ქართველების გენოციდით გამოიხატება საკუთარ მიწა-წყალზე!

— ვისი ბრალია, როგორ ფიქრობთ?! 1993 წელს შევარდნაძემ არტილერია და სამხედრო ტექნიკა გამოიყვანა, მერე მასწავლებლებს და ბავშვებს მოუწოდა, დაბრუნდით, იქ ისწავლეთო. არ მეთანხმებით?

— ??

— ეს ხომ ცნობილი ფაქტია, რასაც ვამბობ. ვთვლი, რომ ქართველთა გენოციდში დამნაშავეა უდუარდ შევარდნაძე და არა ვლადისლავ არძინბა. კიდევ უარესად იქნება საქმე, სანამ ამას მე კი არა, თვითონ მას არ შეეკითხებით.

— პრეზიდენტი რომ გახდებით, ალბათ, „ზვიადისტებიც“ შეგირიგდებიან, არა?

— წარმოგიდგენიათ, რომ მანანა მე შემირიგდეს? მე ნორმალური ხალხის იმედი მაქვს. „ზვიადისტებშიც“ არიან ასეთები. შეიძლება მათ მომცენ ხმა.

— ბ-ნო აკაკი, არ არის გამორიცხული, რომ კატეგორია ხალხისა, ვინც თქვენს მიერ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას ხელს მოაწერს, ნანატრი არჩევნების დღეს გამჭვირვალე ყუთთან ისევ მოქალაქეთა კავშირსა და მის სულის ჩამდგმელს უწყალობებს ხმას.

— შეიძლება... ცუდი არჩევანის შემთხვევაში ხალხმა თავის თავს დააბრალოს. მე ხომ მართალი ვიქნები. ყველაფერს ვეცდები, რომ მათი ცხოვრება ნორმალური იყოს. გიჟი კი არ ვარ, ამ საქმისათვის ვინმეს კი არ დავუქირავებივარ. მე სხვა ქვეყანაში ვერ ვიცხოვრებ.

1991 წლის გადატრიალების შემდეგ, იმ უზენაესი საბჭოს დეპუტატები ცხოვრობენ ბერლინში, პარიზში, შესანიშნავი დახმარებები აქვთ. როგორ ფიქრობთ, მე, როგორც დამხობილი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, უარს მეტყოდნენ? ვერ წავედი და ვერც წავალ, უნდა ვიცხოვრო ამ უბედურებაში ყველასთან ერთად. თუ ეს ხალხი თავს მოიტყუებს, მეცოდინება, რომ ჩემი ქვეყანა ნორმალური იყო, მაგრამ დღეს არანორმალურებით არის დასახლებული. ვიქნები აქ, ბევრი ინტერესი მაქვს, ვკითხულობ, ვწერ, მყავს მეგობრები. ლუკმაპურს ნამდვილად ვიშოვი, ფუფუნებას მიჩვეული კაცი არ ვარ, მეყოფა რამდენიმე ასეული ლარი. ასე იქნება, ასე!

— დიდ წარმატებებს გისურვებთ, ბ-ნო აკაკი!

— ამას გისურვებთ მეც. ჟურნალისტები კარგ საქმეს აკეთებთ, მხოლოდ პროფესიონალიზმი გაკლიათ. ახალგაზრდა, ნიჭიერი ხალხი ხართ და ბუნებრივია, სამართლიანობის მხარეს დგახართ!

— გმადლობთ.

ძეთინო გეგჭაკი
ხათუნა ხატიაშვილი

თქვენ გგონიათ, თქვენი ცოდვები იმან იფვირთა, ვინც ავკაცობისთვის წოდებები და ჯილდოები ჩამოგირიგათ...

მესამე გვერდიდან

გარეშე ძალისა და იარაღით ხელში დაეუფლა ხელისუფლებას და ქვეყნის სახალხო დოვლათს, არ შეიძლება საერთო-სახალხო მხარდაჭერით სარგებლობდეს, ამიტომ მან უნდა შექმნას ილუზია, რომ ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი (ვილაცას შუაზე რომ არ გაეხლიჩა, ალბათ უდიდესი ნაწილი) თითქოს მას უჭერს მხარს, ან იძულებულია შექმნას აქამდე არგაგონილი რაოდენობის კბილებამდე შეიარაღებული პირადი დაცვა, როგორც პრეზიდენტისათვის, ასევე ყველა თანამდებობის პირთათვის, მათი და ასევე ოცამდე ახლადგამოჩეკილ მილიონერთა სიმშვიდის დასაცავად. იგივე მიზანს ემსახურება ყველა ძალისმიერი სტრუქტურის ასათასიანი არმიაც და ყოველივე ეს ისევ და ისევ შეგინებული და შეურაცხყოფილი უმრავლესობისა და ქვეყნის მნირი ბიუჯეტის მეშვეობით კეთდება.

ასეთი სახელმწიფო პოლიტიკა ყოველთვის მიმართულია ხალხის ნებისა და სურვილების დასათრგუნად, მის დასამონებლად. მონა კი, მოგეხსენებათ, თავისი არსით საცოდავია და არ იმსახურებს არანაირ პატივისცემას. მისთვის არ არსებობს სამშობლო, როგორც ასეთი და სხვა მაღალი იდეალები. ეს რაც შეეხება მშიერ მონას. სულ სხვაა მაძღარი მონის ბუნება. მისი აზროვნება კუჭის, საკუთარი ფუფუნების პირობების ძებნითაა შემოფარგლული. იგი მზადაა დამონებულ ერზე ბატონობის შესანარჩუნებლად ეშმაკსაც დაუყენოს თავიცა და ერიც სამსახურში. მისთვის არ არსებობს და უცხოა სამშობლოსათვის, ერისათვის თავგანწირვის გაგება. ის თუ ამ კუთხით რაიმეს აკეთებს, მხოლოდ ანგარებით, მხოლოდ იმისათვის, რომ დაფაროს თავისი მოღალატური პოლიტიკა.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება შედგება ერის იმ უმცირესი ნაწილისაგან, რომლებსაც მაძღარი მონები ჰქვიათ, ხოლო ხალხი, მისი ავანგარდის, განაგრძობს მშვიდობიანი მეთოდებით უკომპრომისო ბრძოლას მონობისაგან ხალხისა და სამშობლოს დასახსნელად. ეს რომ მას ძალუძს, ამაზე მეტყველებს მათი თავგანწირული ბრძოლის ნ-წლიანი ეპოპეა.

მკითხველთან ბოდიშის მოხდით, მინდა დავუბრუნდე ამას წინათ ტელევიზიით გამართულ უმცირესობის, მაძღარი მონების თვალსაჩინო წარმომადგენელთა მიერ გამართულ, შერიგება-შემორიგების პოლიტიკით გაჯერებულ ჯაფარიძე-ლანჩავას დიალოგს.

გენერალი მშვიდად, სახეზე ღიმილ-გადაფენილი ესაუბრებოდა ჯაფარიძის ქალბატონს, 1992 წლის 2 თებერვლის ასათასიანი მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტა-დარბევის შესახებ. „ათასი-ათასხუთასი კაცი თუ იქნებოდაო“ იმ მიტინგზე, რომელზედაც ამდენს ლაპარაკობენ „ისინი“ სიტუაციის გამაფფრეზულად წარმოჩენის მიზნით, ალბათ, თორემ იქ ისეთი არაფერი მომხდარა, რომ ლაპარაკად ღირდეს და შემორიგებას ხელი შეუშალოსო და მერე აგრძელებს: ჩვენ მომზადებულად დავხვდით მათ ცირკის ტერიტორიასთან. საგანგებოდ იქ მიტანილი სახანძრო მანქანებიდან წყლის ჭავლით დავშალეთ „ისინი“ და პლეხანოვისაკენ გაიფანტნენო, — აცხადებს შუბლ-მაგარი გენერალი.

ხალხი ბრძენიაო, უთქვამს ჭკვიან კაცს, მაგრამ ხალხის სიბრძნე რა სახსენებელია ამათ და-ძმათა სიბრძნესთან შედარებით, რომლებმაც იტვირთეს მისია, ძალით ჭკუა ესწავლებინათ გიგინეიშვილის ქალის მიერ უტვინო ბრბოდ და დაუბანელტურტლიანებად მონათლულ ხალხისათვის. აკი ასწავლეს კიდეც და ასწავლიან დღესაც.

სადგურის მოედნიდან დაწყებული, ჩელუსკინელების სახელობის ხიდს გასულ ხალხს, თამარ-მეფის გამზირი ისე გაეცალა, რომ, როგორც იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდებოდა. ყოველგვარი ორგანიზებისა და ორგანიზატორის გარეშე, საკუთარი სურვილითა და ინიციატივით, ნებაშელახული და ჯერ კიდევ მაშინ, 6 წლის წინ დღევანდელი შავი დღის მჭვრეტელი ხალხი სახლიდან ქუჩაში გამოსულიყო ერთადერთი მოთხოვნით: გადამდგარიყო „საშუალო საბჭო თუ სახელმწიფო საბჭო“ და აღედგინათ სამართლიანობა, კანონიერი მთავრობა და პრეზიდენტი, როგორც გარანტი ხალხისა და ქვეყნის მთლიანობის.

გმირთა მოედანზე, ცირკის წინ, ათიოდე მსუბუქი მანქანა და ასამდე ავტომატმომარჯვებულის პანიკური ფუსფუსი იდგა. მიტინგთან მიერთების მსურველთა მცირე ჯგუფთან ერთად ამ მოფუსფუსეთა შუაგულში აღმოვჩნდი. შეშინებულნი ჩანდნენ და ხმამაღლა იგინებოდნენ: „ამათი დედა..., ჩემი დედა..., ნახეთ მაინც მოდიან ტო, ნამდვილი გიჟები ჩემი დედა..., სულ უნდა დაგვახოცინონ თავი?! და ცირკის საფეხურებისაკენ გარბოდნენ, თან ხიდის მიმართულებით ავტომატის ჯერს ისროდნენ. დასცხეთ ბიჭებო, თუ მოედანზე შემოვიდნენ, მერე ჩვენ მაგათი გამჩერებლები არა ვართო და ისმოდა ხიდის მხრიდან ყვირილი, წივილი და კივილი. სასოწარკვეთილ შევყვირე: რას სჩადიხართ! იქ ბავშვები და ქალებია, იქნებ თქვენი დები და ძმებია მეთქი. 10-15 კაცმა წამსვე ალყაში მოგაქცია და უკანიდან ვილაცამ კისერში მაგრად ჩამაზილა მუშტი, დედაც „შემიმკო“ და ფეხებით ტლინკებიც მირტყა. მეჩხერკბილებიანი (შემდეგ ის ზაზა ვეფხვაძესთან ერთად ვნახე სასამართლო პროცესზე), „მაკარო-ვით“ ხელში მომიახლოვდა, ყბაზე ულა მომადო და კბილებში გამოცრა: „სულ შენისთანების ბრალია, ეს ხალხი რომ არ წყნარდება, შენ აბუნტებ ამათო. რას ეფერები, მაგის დედა... მიაყენე კედელთანო“ და ხელი 11-სართულიანისაკენ გაიშვირა. იარაღი მარცხენაში გადაიტანა და მარჯვენა მკლავში ჩამავლო, რომ იქვე ჯინსის კოსტუმში გამოწყობილი საშუალო ტანის, შუა ხნის კაცმა: „არა სჯობია ეს მე გამატანეთო და იქვე მდგარ კრემისფერ 07-ში ჩამსვა სამ ახალგაზრდა კაცთან ერთად. ეტყობოდათ, რომ ჯინსიანს მაინც და მაინც არ ენდობოდნენ.

სპორტის სასახლეს რომ გავცდით, ვიკითხე, სად მივყავდი, მიხვალ და ნახავ, — იყო პასუხი. მე თქვენ ვინმე არ გეგონოთ, ვარ რიგითი მოქალაქე და იქნება გამიშვათ, ამას ვინ გაიგებს მეთქი. „გაშვება არ გაშვება ეხლა ამათი საქმეა, უფროსები ეხლა მაგენიაო“.

ჯინსიანი მძღოლი ორგანოს თანამშრომელი აღმოჩნდა, რომელსაც ცოცხლად გადარჩენას ვუმადლი, ხოლო სამი პირი გ. ჭანტურიას ბიჭები ყოფილან, რომელთა კომკავშირული სიმტკიცის წყალობით, მილიციის სამმართველოს სარდაფის №11 ხალხით გაძეძგილ საკანში მიკრეს თავი. შეგიძლიათ გაიკვირვოთ, მაგრამ მილიციის ყველა თანამშრომელი აშკარა უკმაყოფილო იყო შექმნილი მდგომარეობით და არც ფარავდნენ გულისწყრომას.

მე არ შევჩერდები დეტალებზე და ე. წ. გამოძიების პროცედურულ საზიზღრობებზე, მაგრამ გენერლობისა და ტელევიზიაში უზნეობის საქადაგებელი ადგილის მოსაპოვებლად თქვენს მიერ ჩადენილი ცოდვის სიმძიმე, კარგად იციან იმ ოჯახებმა და მათმა ახლობლებმა, რომლებიც მათი „მოღვაწეობისა და შრომის“ შედეგად გაუბედურდნენ. იციან იმ ოჯახებმა, რომელთა მზეჭაბუკები (ამბობენ სამშობლოსათვის მომკვდარი, ლამაზიაო, — მართალი ყოფილა), პირველი საავადმყოფოს მორგში 6-18-მდე ავტომატის ტყვიების ჯერით მკერდგანგმირულნი, ლამაზ სახეზე სათნო ღიმილშეყინულები, თითქოს მშვიდის ძილით სძინავთო, 24 პირტტველა ახალგაზრდის შიშველი გვამი ელაგა ნარებზე. მორგს და მკვდრებს ერთი რუსის ქალი ასუფთავებდა, რომელმაც ნალვლიანად ჩაილაპარაკა: ამის გარდა საბუთები არავის აღმოაჩნდა და თუ პატრონებმა არ მოაკითხეს, დამარხავენო. საბუთიანი, გვარად თავართქილაძე, 1,80 მეტრის სიმაღლით, ტანკენარი, მშვიდად მომღიმარი ლამაზი სახითა და უკან გადავარცხნილი ტალღისებური წაბლისფერი თმით, იატაკზე განსვენებდა მოძმის ტყვიებით გულგანგმირული, 25 წლის ქართველი. მისი ზღაპრული სილამაზე ღაღადებდა: „უნდა შეუნდოთ და მიუტევოთ მტერს, მას შემდეგ, როცა ჩამოახრჩობენ“ (შილერი). და სწორიც იყო, რადგან ნათქვამია: „არ გათეორების ყორანი...“

თქვენ, გენერალო, ხალხის ჭკუის სწავლების ავადმყოფური ეინით შეპყრობილნი ისროდით და შედეგი არ განალვლებდათ, არც დღეს ნანობთ ჩადენილის გამო, თუ თქვენი ტელეგამოსვლებით ვიმსჯელებთ.

ვიცით, საიდანაც გამომდინარეობს თქვენი არხეინობა. თქვენ გგონიათ, რომ თქვენი ცოდვები იმან იტვირთა, ვინც ავკაცობისათვის წოდებები და ჯილდოები ჩამოგირიგათ. გახსოვდეთ, ყოველივე ეს თქვენი ხალხისადმი მტრობის საზომად უფრო გამოდგება, ვიდე ადამიანის საქციელის შესაფასებლად, რადგან ჩვენი ქმედებების შემფასებელი მხოლოდ ღმერთია და ის მიაგებს საკადრისს ყველას.

როსტომ კუტალია.

გაგრძელება იქნება

გერმანიასაც აკლია?

თუმცა გერმანია თავის წამყვან როლს მსოფლიოში დიდწილად მანქანათმშენებლობას უმადლის, დღეს მას კვალიფიციური მანქანათმშენებელი ინჟინრების ნაკლებობა აქვს. მკვეთრად დაეცა ამ დარგში სტუდენტთა რიცხვი (1992წ.-16000 სული, 1998წ.-8100 სული). კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ელექტრონიკის და ინფორმაციის სპეციალობებზე (25 ათასი 1992 წელს და 10 ათასი 1998 წელს). დღეს მანქანათმშენებელთა თითქმის მთელ წლიურ გამოშვებას უნივერსიტეტებიდან (3 ათასი სული) მარტო სიმენსის ფირმა ნოქამს.

ამ დაცემის ერთი მთავარი მიზეზია სკოლა, რომელიც თავის მოძველებულ სახელმძღვანელოთა გამო ვერ აძლევს მოწაფეს საკმარისად დიდ ინტერესს ზუსტი მეცნიერებისადმი. შეიცვალა ინჟინერთა პროფილიც: იკლო კლასიკურ დარგებში — კონსტრუირებაში, კვლევაში და განვითარებაში დასპეციალებამ და გაიზარდა კომუნიკაციისა და კონსულტაციის დარგში. მდგომარეობა შემაშფოთებელია ქვეყნისათვის, რომელიც თავის ეკონომიკას ვერ ააგებს თავის მწირ ბუნებრივ რესურსებზე.

ავტომაგისტრალი — ნარკოტიკების წინააღმდეგ

ცოტა ხანში მთავრდება ჩინეთ-მიანმარის მაგისტრალის მშენებლობა, რომელმაც უნდა გააადვილოს ორი ქვეყნის ვაჭრობა, განვითარების საშუალება მისცეს მივარდნილ-საზღვრისპირა რაიონებს და, სხვათა შორის, ამით შესაძლებელი გახადოს ნარკომცენარეთა კულტივაციის აღმოფხვრა, რომელიც იქაური მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი დარგია.

ბანკები ნადირობენ

ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ფინანსური კრიზისით მიწასთან გასნორებულ აზიურ ეკონომიკაში ჰოლანდიური, გერმანული და ფრანგული ბანკები სარფიან გარიგებებს მოელიან. ისინი ჩალის ფასად ეუფლებიან ადგილობრივ ბანკებს, რომელთაც უახლოეს რამდენსამე წელიწადში, სულ ცოტა, 250 მილიარდი დოლარი სჭირდებათ. სხვადასხვა ქვეყნებში ამ მონადირე ფინანსისტებს სხვადასხვა ამინდი ჰხვდებათ. ჩინეთს ფული სჭირდება, მაგრამ მას არ უნდა უცხოელთა შეშვება თავის ეკონომიკაში. მალაზიაში უცხოელთა ზღვარი ბანკების მფლობელობაში განსაზღვრულია 30 პროცენტით, კორეელებს 55 მილიარდი დოლარი სჭირდებათ, მაგრამ ისეთი სავალალო მდგომარეობა აქვთ, რომ ევროპელები თვითონ ყოყმანობენ, ღირს იქ დაბანდება თუ არა. ტაილანდი და ინდონეზია მიესალმებიან უცხო ინვესტორებს. „აზიური სასწაული“ ჯერ არ დამთავრებულა და ვინც დროზე ჩადებს ფულს იქ, სადაც საჭიროა, დიდი მოგება ელის.

ასლან მასხადოვის დარბაზობა ლონდონში

9-დან 13 მარტამდე ჩეჩნეთის პრეზიდენტი ვიზიტად იმყოფებოდა ლონდონში. მისი ოფიციალური მასპინძელი იყო ლორდი მაკ-ალპაინი, რომელიც დღეს რეფერენდუმის მოძრაობის თავმჯდომარეა. მას მასპინძლობდნენ აგრეთვე პარლამენტის წევრი კონსერვატორი მაიკლ ჰაუორთი და პაკისტანელი იმრან ხანი, რომელსაც ცოლად ჰყავს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის — ჯემი გოლდსმითის ქალიშვილი. თავისი სტუმრობის მანძილზე მასხადოვი სიტყვით გამოვიდა საერთაშორისო საქმეთა სამეფო ინსტიტუტში და გაერთიანებულ სამასხურთა სამეფო ინსტიტუტში, აგრეთვე ბრიტანელ ისლამურ ლიდერთა ჯგუფის წინაშე, რომლებთანაც მას შეხვედრა იმრან ხანმა მოუწყო. მასხადოვმა მოინახულა პარლამენტი, ოქსფორდის უნივერსიტეტი და ლონდონის ბირეჯ. ომის საიმპერიო მუზეუმში მას მიესალმნენ „არტილერიის საპატიო როტის“ ოფიცრები და შეეხვდა მუზეუმის თავმჯდომარე ფელდმარშალი ლორდი ბრამალი. იგი სადილად მიწვეული იყო მარგარეტ თეჩერის მიერ.

რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისათვის და მისი გაკვეთილები

წერილი მეორე

ისმება კითხვა — მართლაც, რატომ ვერ შექმნა ქართველმა აფხაზის სახით „მტრის ხატი“ და რატომ მოხდა პირიქით — „აფხაზმა“ ყველაზე საძულველი „მტრის ხატი“ შექმნა ქართველის სახით, რომლის მიწა-წყალსაც, რუსებისა და თავად ქართველების ხელშეწყობით, იგი ნელ-ნელა, თანდათანობით, მეთოდურად იპყრობდა და იპყრობს, რომლის კულტურასაც ეზიარა და ეზიარება, არამარტო ეზიარება, უფრო მეტიც, ისაკუთრებს და ეპატრონება.

ამ კითხვასა თუ კითხვებზე პასუხის გაცემა ძალიან ადვილიც არის და ძალიან ძნელიც; ძალიან მარტივიც და ძალიან რთულიც.

თავიდანვე კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ „ქართველთა“ და „აფხაზთა“ შორის კონფლიქტი არ არსებობს. ესაა ფირნიში, რომლის იქითაც აბლაბუდასავით დახლართული რთულზე რთული პრობლემებია თავმოყრილი. აქ კონცენტრირებულია მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა ინტერესები, რომელთაგან ბევრი აშკარაა და ბევრიც კი საიდუმლოა.

თუ ეს „ქართველთა“ და „აფხაზთა“ კონფლიქტებია, მაშინ რას გვეუბნება მასში რუსთა, კაზაკთა, ადიღეელთა, ყაბარდოელთა, ჩეჩენთა (ე. ი. რუსეთის მოქალაქეთა), სომეხთა და სხვათა მონაწილეობა?

ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ ქართველ პოლიტიკოსთა დიდმა ნაწილმა „რადიო-ტელევიზიამ“ და პრესამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მსოფლიოს პოლიტიკის ცნობიერებაში, საქართველოსაზე რომ არაფერი ვთქვათ, ყველა დონეზე მყარად დაამკვიდრეს გამოთქმები — „საქართველო“ და „აფხაზეთი“, „ქართველები“ და „აფხაზები“ და ა. შ. ამიტომ სხვას ვერავის დავადანაშაულებთ იმაში, რომ რუსეთ-საქართველოს ომი, საქართველოს ერთ-ერთი ჩვეულებრივი კუთხის, აფხაზეთისათვის, მსოფლიოს აღქმული აქვს, როგორც ომი „საქართველოსა“ და „აფხაზეთს“ შორის.

ზემოთ გამოტანილ კითხვებზე პასუხის გაცემა, ერთის შეხედვით, ძალიან მარტივად შეიძლება: — ერთის მხრივ, აფსუამ, რომელსაც ჩვენი ტოლერანტობისა თუ ბედოვლათობის წყალობით, დღემდე „აფხაზი“ ჰქვია. იმიტომ შექმნა ქართველის სახით ყველაზე საძულველი მტრის ხატი, რომ მან კარგად იცის, იგი „აფხაზი“ არაა, მას ისტორიულ აფხაზთან საერთო არაფერი აქვს, მან კარგად იცის, რომ იგი დამპყრობელია.

მან იცის, რომ ამ ტერიტორიაზე მას არცერთი ეკლესია-მონასტერი, ტაძარი, ციხე-სიმაგრე, ხიდი თუ სხვა მატერიალურ-კულტურული ძეგლი არ აუშენებია. ოფლი არ დაუღვრია მათ გასაკეთებლად, სისხლი არ დაუღვრია მათ დასაცავად და ამიტომ მას აქ არაფერი ენანება, ხელის აუკანკალებლად წვავს და ანგრევს ყველაფერს ისეთი სიძულვილითა და ზიზღით, რომ ატილასა და ჰიტლერის კაცჭამიებსაც კი შეშურდებოდათ.



ასევე, ქართველმა იმიტომ ვერ შექმნა აფხაზის სახით მტრის ხატი, რომ მან გადამთიელი დამპყრობელი აფსუა ძმად მიიღო, შეიხიზნა და „აფხაზად“ მონათლა. იმიტომ ვერ შექმნა, რომ მან იცის, სისხლში აქვს გამჯდარი ისტორიულადაც და გენეტიკურადაც, რომ თვითონაა აფხაზი. ამ მიწაზე ყველაფერი მისი შექმნილია, ყველაფერი მისი ოფლითა და სისხლითაა მორწყული და ამდენად საკუთარი თავის მტრის ხატად წარმოჩენა არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

მეორეს მხრივ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძალიან რთულია, რადგან მის უკან დგას უზარმაზარი ისტორიულ-იდეოლოგიური აბსურდი და აბლაბუდა თითქოს „ქართველები“ და „აფხაზები“ ძმები არიან და ამ მიწაზე უკვე, თუ მეტი არა, ოცი საუკუნეა მაინც ერთად ცხოვრობენო.

ძალიან რთულია, რადგან იმპერიული იდეოლოგიის ძალისხმევის წყალობით და თვით ქართველთა ხელშეწყობით, შექმნილია უზარმაზარი ცრუმეცნიერული, გაყალბებული ისტორიული „სამეცნიერო“ ლიტერატურა მსოფლიო მასშტაბით ე. წ. „აფხაზთა“ აბორიგენობაზე საქართველოში.

ამ საქმეში ლომის წილი აქვთ დადებული თვით ქართველ ისტორიკოსებსა თუ ენათმეცნიერებს, რომელთა ნაწილი დღესაც ვერ გამოფხიზლებულა ამ „აფხაზური“ სინდრომისაგან.

ეს საკითხები ისე რთულია და ისე დახლართული, რომ კაცმა არ იცის, საიდან დაიწყოს და რას შეეხოს.

უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსეთმა ე. წ. „აფხაზური ოპერაცია“ მაშინ დაიწყო (თუ მანამდე არა), როგორც კი დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების შეერთება დაამთავრა და მაშინვე მიხვდა, რომ ამ საქმეში — ამ ოპერაციაში, მთავარი კოზირები, დამპყრობელი აფსუების და გულუბრყვილო — ტოლერანტი ქართველის სახით, ხელთ ჰქონდა და კიდევაც აამუშავა მძლავრი იდეოლოგიური მანქანა და ათეული წლების განმავლობაში შექმნა ზღვა ლიტერატურა — აფსუათა წინაპრების საქართველოში აბორიგენობის შესახებ.

ამის შესახებ კი, ვინც სიმართლეს დასწერდა, მყისვე მაჯაში სწვდებოდნენ. ასე გააძევეს დიდი ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან და ჯვარს აცვეს იგი; ათეული წლების მანძილზე დაამახინჯეს მისი სწორუპოვარი „ქართველი ერის ისტორია“. ასე შეაფერხეს პავლე ინგოროყვასა და ნიკო ბერძენიშვილის შრომების გამოცემა და სხვა მრავალი.

საერთოდ, თავდაყირა დააყენეს, შერყვნეს და გაათახსირეს საქართველოს ისტორია.

ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ქართველ ისტორიკოსთა ერთი დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ გამოფხიზლებულა და ვერ გაუგია, რომ უკვე დეპოში ვართ.

მაგალითები გნებავთ, ინებეთ: ბოლო ერთი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა ცნობილი ისტორიკოსის ბ-ნ ნოდარ ლომოურის რამდენიმე წერილი და შრომა, რომლებშიც ძველებური სიჯიუტით კვლავ ამტკიცებს აფსუების აბორიგენობას საქართველოში.

ბ-ნ ნ. ლომოურის ბოლო პერიოდის შრომები უეჭველად ცალკე განხილვისა თუ განჩხრეკის საგანია, აქ მხოლოდ ერთ ციტატას მოვიყვანთ მისი ერთ-ერთი ბოლოდროინდელი წერილიდან.

„მე სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ არცერთი პირველი წყარო არავითარ, სულ მცირე მინიშნებასაც კი არ იძლევა აფსილებისა და აბაზგების ქართული (ქართველური) წარმომავლობის შესახებ“ („ცისკარი“, №11, გვ. 132, 1997).

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ბ-ნ ნოდარ ლომოურის ბოლოდროინდელ სტატიებს ალბათ ცალკე განვიხილავთ, მანამდე კი, „პირველწყაროების“ მართლაც კარგ მცოდნეს, ბატონ ნოდარს, ერთი რამ უნდა შევახსენოთ. ბატონო ნოდარ! თქვენ, როგორც საქართველოს ისტორიის ცნობილ მკვლევარს და წყაროთმცოდნეს, კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ დღეს ფართოდ გამოყენებული და ცნობილი ტერმინები — „საქართველო“ და „ქართული“, „აფხაზეთი“ და „აფხაზი“, „რაჭა“ და „რაჭველი“, „კახეთი“ და „კახელი“ და

სხვა მისთანანი, შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა და აბა რომელი „პირველწყარო“ მიუთითებდა VII-X საუკუნეების შემდეგ-დროინდელ ამბებზე?

აფსილებსა და აბაზგებს კი არა, ბატონო ნოდარ, ვერ დაგვისახელებთ იმ მრავალრიცხოვანი ქართველური ტომებიდან ვერც ერთს, რომელნიც ასე ფართო მასშტაბით მოიხსენიებიან ძვ. წ. ა. I ათასწლეულისა და ახ. წ. ა. I ათასწლეულის პირველი საუკუნეების უცხოურ წყაროებში, რომელზედაც უცხოელი ავტორები მიუთითებდნენ, რომ „ქართველიაო“.

ბატონო ნოდარ! ისტორიული „პირველწყაროები“, განსაკუთრებით უცხო ენოვანის, დიდი მცოდნე ბრძანდებით, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქართულს, როგორც ჩანს, ნამდვილად კარგად არ ეცნობით, ამიტომ წინასწარ რამდენიმე კითხვა მინდა შემოგთავაზოთ — ჩვენი გამოკვლევებით (მე-19 ს-ის მასალების მიხედვით) დადგინდა, რომ აფსუები ერთსა და იმავე სახელს უწოდებენ ვაზსა და მუხას („აჯი“), ერთი სახელით აღნიშნავენ ყველა წიწვიანს — ნაძვს, სოჭს, ფიჭვს („აფსა“) (?!!).

შეიძლება თუ არა, ბატონო პროფესორო, ესა თუ ის ხალხი მთელი 20 საუკუნე ცხოვრობდეს აფხაზეთში, სადაც ვაზი ტყეებში ველურადაც კია გაჯრელებული და სადაც აბორიგენმა ქართველურმა ტომებმა მშვენიერი სახელები შეარქვეს, და არათუ ვერ ისესხოს სახელი მეზობლებიდან, არამედ „გადავიდეს“ ჩრდილო კავკასიაში — ისესხოს და იქედან „ჩამოიტანოს“ — თანაც ვაზი და მუხა ერთმანეთისგან ვერ გაარჩიოს?

ასევე, შეიძლება თუ არა, ბატონო პროფესორო, ესა თუ ის ტომი 20 საუკუნე ცხოვრობდეს აფხაზეთის მთებში, ქართველური ტომების მეზობლად, რომლებმაც ნაძვს, სოჭს, ფიჭვს ცალკეული და მშვენერი სახელები უწოდოს, და არათუ მათგან ვერ ისესხოს, არამედ კვლავ ჩრდილოკავკასიაში „გადავიდეს“ ისესხოს და „ჩამოიტანოს“, ამავე დროს, ერთმანეთისაგან ვერ გაარჩიოს 3 სხვადასხვა გვარის წიწვიანი ხე-მცენარე?

გაგრძელება მე-7 გვერდზე

სატირული ფოლკლორი

დღევანდელი საქართველო

გაჭირვების დრო დაგვიდგა
ვაი, ჩვენსა დღესო,
მუშა ხალხი განადგურდა
გვიბნელებენ მზესო.
აქ ფაბრიკა, იქ ქარხანა
გაიყიდა დღესო,
უმუშევართა არმია
ვის კარს მიადგესო?
მოგვიმრავლდა მაღაზია,
რესტორანი კერძო,
ვინც დოლარებს ვერა ხვეტავს
რა გზას დაადგესო?
სამუშაოს შოვნის შანსი
სულმთლად გაგვიქრესო,
კაცი არ ჩანს, მშრომელ ხალხზე
გული შესტკივდესო.
ეს საქმეა, პურის ფულიც
გვენატრებოდესო?!
ბავშვთა ჯანმრთელობას საფრთხე
ემუქრებოდესო?
კერძო დუქნის მეპატრონე
მტრულად გვიბღვერდესო,
ღარიბსა და უსახლკაროს
მუშტს გვიღერებდესო!
ვზივართ უჭმელ-უსმელები,
სისხლი გაგვიშრესო,
ამ წყობას და მის მომხრეებს
ღმერთი გაუწყრესო.
პენსიონერს ათი ლარი
ძაღლსებრ მიუგდესო.
გინდ მოკვდეს და გინდ გადარჩეს,
არვის ადარდებსო.
სალაროში ანაბრები
შეგვატანინესო.
ხალხსაც სიკეთე ეგონა,
ხელი შეუწყესო...
... დავრჩით გაღატაკებულნი,
რატომ გაგვწირესო?

ცხოვრებაში რაც ვიშრომეთ,
დაგვაკარგვინესო.
არც არაფერს გვიბრუნებენ,
ხელი მოითბესო.
და დავდივართ ქუჩა-ქუჩა,
ვინ სად წავიდესო?
ვინც ჩვენ შიმშილითა გვხოცავს,
თვითონ დაიმშესო,
გამწარებული სიცოცხლე
ხალხს დაამადლესო.

რა პირობები შეგვიქმნა
ამ მთავრობამ ესო?
ინჟინერი „ბულკებს“ ყიდის,
პედაგოგი — რძესო.
ვისაც ეს ცხოვრება მოსწონს
მეხი დაეცესო.
ამდენ უბედურებასა
ხალხი გაუძლებსო?!
გაბატონდა ინგლისურიც,
ვიცვლით ჩვევებს, ზნესო.
„დედა-ენის“ ზეიმს ვაწყობთ,
თვალს ვუბრმავებთ სხვებსო,
მაგრამ ვატყობ, დღეს ქართული
არ სჭირდება ბევრსო.
გადაშენების გზაზეა
საქართველო დღესო.
ოჰ, ნეტავი ჩემი ნატვრა
აგვსრულებოდესო.
საქართველოს კარგი შვილი
გასცოცხლებოდესო.
ჩვენს ყოფაზე ვისაც ჯერ არს
პასუხს მოსთხოვდესო.
ჩაგრულ ხალხსა იგი მხსნელად
მოვლინებოდესო.
ეს ცხოვრებაც უკულმართი
შეიცვლებოდესო,
მშრომელ ხალხსა ბნელი ღამე
გასთენებოდესო;
თავის ნაშრომ-ნაწვალები
დაბრუნებოდესო,
დაცემული საქართველო
წამოდგებოდესო.
ჩვენი მხარის ბაღ-ვენახიც
აყვავდებოდესო,
საქართველოს მომავალი
გაბრწყინდებოდესო!

ლიანა ბაღაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრარული პოლიტიკა

სოფლის მეურნეობის რეფორმა უკეთესი დღევანდელი საქართველოსთვის

ისტორიისათვის მეტად ხანმოკლე დროში საქართველომ საზოგადოებრივი განვითარების რამდენიმე ფორმაცია გაიარა და ისევ კერძო კაპიტალისტურს დაუბრუნდა.

ყველა ამ ფორმაციას თავისი შესაბამისი სოფლის მეურნეობრობა მიესადაგებოდა. ყველა მათგანის განხილვას ეს წერილი არ ითვალისწინებს მიზნად. ჩვენ ნაწილობრივ შევეხებით ბოლო პერიოდს და ვიმსჯელებთ საქართველოს სოფლის მეურნეობის დღევანდელ სურათზე და მის პერსპექტივაზე.

დღეს არავისში ეჭვს არ ინვევს ის, რომ 30-იან წლებში ბარის თანაბრად მთისა და მთისწინა ზონის სოფლის მეურნეობის იძულებითი კოლექტივიზაცია შეცდომა იყო, რასაც მოყვა გლეხური მეურნეობის მოშლა, საუკუნეების განმავლობაში დახვეწილი სამეურნეო საშუალებათა განავება და რიგი მთის პატარა სოფლების დაცარიელება, ამიტომაც იყო, რომ 90-იან წლებში სოფლის მეურნეობის რეფორმის შედეგად ამ ზონის წვრილი კოლმეურნეობები, რომლებიც წლების განმავლობაში სახელმწიფო დოტაციაზე ისხდნენ, სტაქურად დაიშალა და მათ ხარჯზე წვრილი გლეხური მეურნეობები მომრავლდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დღეს გლეხებს არ გააჩნიათ საკუთარი სამეურნეო საშუალებები ოცდაათიანი წლების დონეზეც კი და ამ მხრივ ისინი დამოკიდებულნი არიან დაშლილი კოლმეურნეობების იმ ნარჩენ ტექნიკაზე, რომელიც ჯერ კიდევ გააჩნია სოფელს. მაგრამ, რა იქნება ხვალ, ამას ვერავინ იტყვის, რადგან ეს ტექნიკა უკვე ზღვრულადაა გაცვეთილი, მალე გამოვა მწყობრიდან და ტექნიკის მწვავე დეფიციტის წინაშე აღმოჩნდებით, თუ მთავრობა ამ საკითხში „ჩაურევლობის პოლიტიკას“ გააგრძელებს მომავალშიც და სოფლის საინჟინრო სერვისის საქმეს არ მოანესრიგებს, რამდენადაც თუ მთის სოფლების გლეხური მეურნეობების დაშლა იყო შეცდომა 30-იან წლებში, ასეთივე და უფრო დიდი შეცდომაა დღეს, ჩვენი მარჩენალი სტრატეგიული კულტურებით (ჩაი, ციტრუსები, ხეხილი, ვენახი, თამბაქო) გაშენებული მსხვილი სპეციალიზებული საზოგადოებრივი მეურნეობების დაშლა (სხვას მას ვერაფერს ვუწოდებთ) და ასეული ათასობით ჰექტარი ფართობების მოცდენა ასე ხანგრძლივად, იმის გამო, რომ რეფორმის კვალდაკვალ მთავრობამ ვერ შეძლო სოფლის მეურნეობის ახალ, საბაზრო ეკონომიკის შესაბამის რელსებზე გადაყვანა და ქვეყანა შიმშილამდე მიიყვანა.

რამეთუ კოლექტივიზაციის შემდეგ ბარის გაძლიერებული მეურნეობების ხარჯზე, მთის სოფლების მაცხოვრებლებს გამოეყოთ მარცვლეული და სხვა აუცილებელი პროდუქტები, ასევე ტექნიკა, დოტაციით.

მაგრამ, მთის სოფლების გამეჩხერებამ და გლეხური მეურნეობრობის მოშლამ ქვეყანას დიდძალი სავარგულები და პროდუქციაც დუკარგა.

დღეს კი წვრილ გლეხურ მეურნეთა მიწის ფართობის გადიდებით მიღებული პროდუქციის ნამატი ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფაზე. რის გამოც, რეფორმის დაწყებიდან დღემდე ჰუმანიტარული დახმარებითა და საზღვარგარეთული სუსხებით ვავსებთ დანაკლისს და ვცხოვრობთ (თუ ამას ცხოვრება ქვია).

რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ თუ 30-იან წლებში ჩვენს მთავრობას კერძო მეურნისა და მეურნეობის გაგონებაც არ უნდოდა, არც დღევანდელს სურს გაიგოს, რომ მარტო წვრილი გლეხური მეურნეობითა და კავით ქვეყანას ვერ დააპურებ და შიმშილს ვერ აიცილებ, რაც აქამდე უნდა სცოდნოდათ ჩვენს „რეფორმატორ მამებს.“

სოციალისტურმა მეურნეობრობამ (კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახით) თავისი არსებობის 60 წელზე მეტ ხნის განმავლობაში დამაჯერებლად აჩვენა, რომ იგი ორივე ფეხით მოიკოჭლებს მსხვილ კერძო მეურნეობებთან (ფერმერულთან) შედარებით, თუმცა მან უმოკლეს დროში განახორციელა სოფლის მეურნეობის ისეთი პროგრესული ღონისძიებანი (ქიმიზაციის, მექანიზაციისა

და მელიორაციის) სახით, რაც იმ დროისთვის შეუძლებელი იყო გლეხური მეურნეობებისათვის. და მტკიცე სახელმწიფო დისციპლინის პირობებში საუკეთესო მაჩვენებლებსაც კი მიაღწია; მაგრამ, პირადი „მე“ ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან ყველა სოციალისტურ უპირატესობებს გადაუსვა ხაზი, სოფლის მშრომელმა ვერა და ვერ გაითავისა კოლექტიური საკუთრება, რადგან მიწა, შენობა-ნაგებობა, ტექნიკა და წარმოებული პროდუქცია კანონით ეკუთვნოდა ყველას, ვინც იგი მოიწია, მაგრამ, ფაქტიურად მდიდრდებოდნენ ერთეულები. ამიტომაც, როგორც სახელმწიფო დისციპლინა მოეშვა (იგი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა), დაიწყო ქურდობა, მსხვილი მიტაცებები, მიწერები და ათასგვარი კორუფცია.

სოფლად მომუშავეებისათვის მთავარი ამოცანა გახდა არა უხვი მოსავლის მიღება-მინმალური შრომითი დანახარჯებით, არამედ, ისეთი სამუშაოსა და თანამდებობის მიღება, რომელიც უშრომლად და გაურჯელად მოუტანდა მათ მაქსიმალურ შემოსავალს. ამიტომაც ცხოვრებამ, მკაცრმა ეკონომიკურმა კანონებმა ეს ფსევდო (კოლექტიური) სოციალისტური მეურნეობა ულმობლად მოისროლა გვერდზე და ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ისტორიის კუთვნილება გახადა.

რაც შეეხება წვრილ გლეხურ მეურნეობას, იგი სოფლის მეურნეობრობის ფართოდ ცნობილი სახეა და დამახასიათებელია ეკონომიურად სუსტი და კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის. ამ შემთხვევაში დიდია შრომითი დანახარჯები ერთეულ პროდუქციაზე.

გლეხი მეურნე თავის 1 ან 2 ჰექტარ ფართობზე ვერ განახორციელებს მოწინავე პროგრესულ ღონისძიებებს (ნათესბალახიან სისტემას, კულტურათა მონაცვლეობას, ახალ მანქანურ ტექნოლოგიებს). მისთვის არაა რენტაბელური მსხვილი ტექნიკის შეძენა და შენახვა ან მისი დაქირავება და გამოყენება წვრილკონტურიან ნაკვეთებზე, არც მცირე მექანიზაციის გამოყენებაა ყველა კომლისთვის შესაძლებელი, რამეთუ მას ტექნიკას კარგად დაუფლებული პირი სჭირდება. ცოცხალი გამწევი საშუალება და შესაბამისი სამეურნეო ინვენტარი არ გააჩნია გლეხობის დიდ უმრავლესობას, ამიტომ ლოზუნგი — „მიეცი მიწა გლეხს და დანარჩენი თვითონ იცისო“ — საქმეში ჩაუხედავი პირების მოგონილია და მეტი არაფერი. მიუხედავად ამისა, დღესაც ჯერ კიდეც ბევრს მიაჩნია, წვრილიგლეხური მეურნეობა (რომელსაც შეცდომით წვრილ-ფერმერულს ან გლეხურ-ფერმერულს უწოდებენ) საუკეთესოდ ბარის ზონაში. მთის ზონაში თითოეულ კომლზე 5-7 ჰექტარი სახნავი, სათიბი და საძოვარი მოდის და ადვილია ხარისა თუ ცხენის შენახვა. ხოლო ბარის ზონაში გლეხი ძროხის შენახვასაც ძლივს ახერხებს. აქ გლეხს ერთადერთ იმედად ისევ მცირე მექანიზაცია რჩება, ხოლო როგორი მაჩვენებლები აქვს მას მსხვილი ტექნიკის გამოყენებასთან შედარებით, მოვიტანოთ შემდეგი მაგალითი ერთ-ერთ ცნობილ სამუშაო პროცესზე — ხვნაზე: ხელით (ბარით) ამ პროცესს ერთ ან ორ ჰექტარზე ყოველწლიურად ისეთი შრომა დასჭირდება, რომელიც ქანცს გააცლის გლეხს. მცირე მექანიზაციით (ტრაქტორი „რიონი“ და ერთკორპუსიანი გუთანი) გლეხს ერთ სამუშაო დღეში (10 საათი) შეუძლია დაამუშავოს (მოხნას) საშუალოდ 0,2-0,25 ჰექტარი ფართობი, რაზედაც ყოველ ჰექტარზე დაეხარჯება მიახლოებით 50 კილოგრამამდე ბენზინი (რომლის ფასი მაღალია სხვა სახის საწვავებთან შედარებით) მსხვილი ტექნიკით (სახნავი ტრაქტორი — დტ-75 მ და ხუთკორპუსიანი გუთანი — პნ-5-35). ტრაქტორისტი დღეში მოხნავს — 6-7 ჰექტარ ფართობს და თითეულ ჰექტარზე დაეხარჯება 20-24 ლ. იაფფასიანი დიზელის საწვავი. ამასთან მცირე მექანიზაციით მუშაობა მეტად მძიმეა, ხოლო მძლავრ ტრაქტორზე ტრაქტორისტი იყენებს რბილ საკარძელს, კონდიცირებულ გრილ ჰაერს სიცხეში და შემთბარ ჰაერს სიცივეში. შესრულებული სამუშაოს ხარისხით (ხვნის სიღრმე, ბელტის გადაბრუნება და გაფხვიერება) მცირე მექანიზაცია ოდნავადაც ვერ ჩამოუვარდება მსხვილ მექანიზაციას. იგივე და უფრო მკაცრი სხვაობაა სხვა სამუშაო პროცესების (თესვა, კულტივაცია, მოსავალის აღება და სხვა) შემთხვევაშიც: ამიტომ კითხვას მეურნეობრობის რომელი სახე ჯობია ყველას — აქვს ერთი პასუხი — მსხვილი ფერმერული.

ფერმერი უნივერსალური მუშაკია, იგი ერთდროულად უნდა იყოს კარგი მექანიზატორი, აგროტექნიკოსი (ან ზოოტექნიკოსი), მელიორატორი, ეკონომისტი და დამხმარე მუშა. ფერმერი მუშაობს მთელი ოჯახით და დამატებით მუშახელს იყვანს მხოლოდ პიკური დატვირთვების პერიოდში.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

რაც გამორჩა ბატონ ნოდარს

1961 წლიდან თბილისში მოქმედებდა იატაკქვეშა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია

გაზეთმა „საქართველომ“ ა. წ. № 36-დან დაიწყო პუბლიკაცია ბატონ **ნოდარ ნათაძის** ახალი წიგნისა სათაურით **„რაც ვიცი“**. წინამდებარე წერილი მიზნად არ ისახავს აღნიშნულ პუბლიკაციათა შეფასებას, რაც მცირე შეუსაბამობათა გარდა, მთლიანობაში ერთობ ინფორმაციატევად მასალას წარმოადგენს და საინტერესოდ იკითხება.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ერთ, ჩვენი და ბატონ ნოდარ ნათაძის აზრითაც ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე. სახელდობრ: ბატონი ნოდარი წერს, რომ სტალინის სიკვდილიდან ათი, თხუთმეტი წლის შემდეგ, როცა სსრ კავშირში ფაქტობრივად ყველაფერი ისევე იყო, როგორც მის სიცოცხლეში — საქართველოში არანაირი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზაცია არ შექმნილაო. — ამგვარი ორგანიზაცია იმ დროს არ შეიქმნა და მე თუ იმ დროს მაცხოვრებელ თაობათა მთელ ელიტას დამნაშავედ ვთვლი იმაში, რაც მოხდა, მხედველობაში, პირველ ყოვლისა, სწორედ ესა მაქვს. რატომ არ შეიქმნა ერში, რომელშიც 1921 წლიდან დახვრეტისთვის შეგნებულად თავგანწირულ ორგანიზაციათა შექმნის პროცესი და, ამ გზით საქართველოს ღირსების შენარჩუნებისათვის სისხლიანი საფასურის გაღება არ შემწყდარა, ასეთი ორგანიზაცია სწორედ იმ დროს, როცა ეს უკვე პრაქტიკულად პერსპექტიული იყო, ვერ ვიტყვი. ნაწილობრივ ეს, შესაძლოა მჟავანაძისდროინდელმა ხრწნის სულისკვეთებამ განაპირობა, როცა ერს უხიფათო და უპრობლემო „მჭამელობის“ პირობები შეექმნა, ნაწილობრივ, შესაძლოა, იმპერიის ნგრევის „ობიექტური“ პროცესის ხედვამ, რომელიც თითქოს, „ჩვენგან“ ჩარევას არ მოითხოვდა.

ყოველივე ამას აქ ახლა იმიტომ ვწერ, რომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ისეთი ელიტარული ორგანიზაცია (უფრო ზუსტად კი — ისეთი ელიტარული ორგანიზაციების პრაქტიკა), რომლისთვისაც არ არსებობს „მშვიდობის ეპოქა“, აუცილებელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. პირდაპირ რომ ვთქვა: ამგვარი ორგანიზაცია ის ერთადერთი ფორმაა, რომელშიც სახიერდება ერის თავისუფლების ნება“. (ნ. ნათაძე „რაც ვიცი“ გაზ. „საქართველო“ 1998 წ. № 36).

ზემოთქმულს თუ „არ ცოდნა, არ ცოდვაა“-ს პრინციპით მიუდგებით, რა თქმა უნდა, ბევრი არაფერი დაშავებულა, მაგრამ 1961 წლიდან, თბილისის იატაკქვეშეთში მოქმედებდა „წმინდა წყლის“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია „საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირი“, რომელიც საბოლოოდ საკმაოდ სოლიდურ (ორ ათეულ წევრს აერთიანებდა) ორგანიზაციად ჩამოყალიბდა. აღნიშნული ორგანიზაციის ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციები გამოქვეყნებული იყო ქართულ პრესაში.

გარდა ამისა, პირადად, მართალია გაკვრით, ქართულ სუფრასთან მისაუბრია ბატონ ნოდართან აღნიშნული იატაკქვეშა ორგანიზაციის თაობაზე და ისიც ნათქვამი მაქვს, რომ ამ ორგანიზაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო (ბოლოს 1965 წელს მივიღეთ) ბატონი ნოდარის ყოფილი კოლეგა ფილოსოფიის ინსტიტუტიდან, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, აწ განსვენებული ავთანდილ პოპიაშვილი.



ბატონი ნოდარისადმი ჩემი დიდი პატივისცემა და მისი უანგარო პატრიოტიზმი მაფიქრებინებს, რომ მას უბრალოდ გადაავიწყდა ეს ყველაფერი სხვაგვარად წარმოუდგენელია არ აღენიშნა ამის შესახებ თავის წიგნში.

ყოველივე თქმულის გამო, სხვა მკვლევართა საინფორმაციოდ, ქართული საზოგადოებრიობის და ყოფილ თანამებრძოლთა წინაშე მოქალაქეობრივი და კოლეგიალური მოვალეობის მოსახდელად საჭიროდ მიმაჩნია შესაძლებლობისდა მიხედვით მოკლედ, მაგრამ რამდენადმე ნათელი ინფორმაცია წარმოვადგინო ნახსენები იატაკქვეშა ორგანიზაციის შესახებ, რათა ერთხელ და საბოლოოდ ამოივსოს საზოგადოებრიობის ცნობიერებაში ინფორმაციული ვაკუუმი 60-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხში, რადგან პრაქტიკულად ასეთი ვაკუუმი ისტორიაში არ არსებულა, ის ჩვენ მაშინდელი ჩვენი მოლვაწეობით შევავსეთ.

იატაკქვეშა ორგანიზაციის შემქმნელებს ძალიან კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, თუ რა „რისკზე“ მიდიოდნენ და ხელისუფლების ორგანოების მიერ მათი „გამომძღავნების“ შემთხვევაში რა ხათაბალაში ხვევდნენ არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. აკი ბატონი ნოდარიც წერს: —„ამ ორგანიზაციათა შექმნა ნიშნავდა ყველა მათგანის დაღუპვას — წამებით და უჩინრად, ან თითქმის უჩინრად“-ო (იქვე). ამ სიტყვებმა მე ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი გამახსენა: — იატაკქვეშა ორგანიზაციის ერთ-ერთმა წევრმა ერთხელ ალალად აღიარა: —„ხომ ვიცი, რომ შეიძლება ისე დავიღუპო, რომ ჩემმა ერმა ვერასოდეს გაიგოს მისთვის რომ გავწირე თავი, მაგრამ შენ ხომ იცი, ჩვენ ხომ ვიცით, რასაც ვაკეთებთ, ამ დიდი მიზნისათვის ყველაფრისათვის მზადა ვარ, გქონდეს ჩემი იმედი, ყველანაირ ტანჯვა-წამებას ავიტან“. თუ გიფიქრია, გამოტეხვის რა მეთოდები შეიძლება გამოიყენონ შენს მიმართ-მეთქი, რომ შევეკითხე, ღრმად ამოიოხრა და განაგრძო: — „სულ მაგას ვფიქრობ და ალბათ, ყოველგვარ წამებას ავიტან, მაგრამ აი... ფრჩხილებს აძრობენო თურმე და თუ ფრჩხილები დამაძვრეს, შეიძლება ვერ გავუძლო“-ო, ამის შემდეგ ორგანიზაციაში იმ წევრის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა. პირადად მე კი მას უკვე ყველაზე ნაკლებად ვენდობოდი და არც ერთი სერიოზული დავალება არასოდეს აღარ მიმიცია. დავალებები კი საკმარისზე მეტი იყო. მებრძოლებს ძილშიც კი საქმე და მოვალეობა ესიზმრებოდათ. აი ის მებრძოლი მამულიშვილებიც: ია მაღლაკელიძე, ენვერ გელდიაშვილი, ადილად გუ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთისათვის და მისი გაკვეთილები

მეექვსე გვერდიდან

ან კიდევ, ბატონო ნოდარ, შეიძლება 20 საუკუნე ზღვისპირას ცხოვრობდეს ხალხი და არა თუ საკუთარ ენაზე ზღვისთვის სახელის დარქმევა, არამედ მეზობლებისაგან სესხებაც ვერ შეძლოს.

შეიძლება ყრუმუნჯი იყოს ინდივიდი, მაგრამ ტომი ან ხალხი?

ბატონო ნოდარ! ისტორიაში მართლა არსებობს ლოგიკა, თუ ცამდე მართალი იყო ის კაცი, ვინც გაბრაზებულმა შესძახა — „ვაფურთხებ თქვენს ისტორიასო".

ბატონო ნოდარ! მგონი თქვენ და თქვენს პოზიციაზე მდგომი მეცნიერები ამართლებთ ცნობილი ფრანგი განმანათლებლის ვოლტერის სიტყვებს: „ისტორია არის სიცრუე, რომელზედაც ისტორიკოსთა უმრავლესობა არის შეთანხმებული".

ნურავის მოეჩვენება, რომ ჩვენ თითქოს ძირითად სათქმელს გადავუხვიეთ, რადგან სწორედ ქართველ ისტორიკოსთა დიდი ნაწილის ბ-ნ ნოდარ ლომოურის მსგავს არასწორ პოზიციაზე დგომამ განაპირობა (და განაპირობებს) აფხაზეთში და არამარტო აქ, დატრიალებული ტრაგედია, რადგან ყველა ომს თავისი იდეოლოგია გააჩნია. ეს ყველამ კარგად შეიგნო, ქართველთა გარდა.

აფსუების „იდეოლოგია, რუსეთ-საქართველოს ომში აფხაზეთისათვის, არის საქართველოში მათი აბორიგენობის ცრუ, ყალბი, მეცნიერულად დაუსაბუთებელი თეორია; ხოლო ჩვენ, ქართველებს, ან საერთოდ არ გაგვაჩნია რაიმე იდეოლოგია, ან და თუ გაგვაჩნია, ჩვენი იდეოლოგიის ქვაკუთხედია ზღაპრული გამონაგონი „ქართველთა" და „აფხაზთა" ძმობის შესახებ; „აფხაზეთში" ამჯერად ვგულისხმობ თანამედროვე აფხაზობას — იგივე აფსუეს, აფსუა — აფხაზებს, თორემ ისტორიული აფხაზები მეგრულად მოლაპარაკე ქართველური ტომებია (იხ. ბ. თავაძე „ისტორიული აფხაზები მეგრულად ლაპარაკობდნენ". „საქართველო" №16, 1998ნ).

დიახ, ქართველებს რომ არავითარი იდეოლოგია ამ მხრივ არ გაგვაჩნია, ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ უახლოეს საპოლიტიკო ეშელონებში მოქმედი მოღვაწეები ისეთ შეცდომებს უშვებენ, „აფხაზის" სახით მტრის ხატის შექმნა კი არა, ჰრქით, თვითონ გამოჰყავთ თავი დამნაშავეებად და ასე გაგრძელდება მანამდის, სანამ ჯერ ჩვენში არ გავაცნობიერებთ და შემდეგ მსოფლიოსაც არ გავაგებინებთ, რომ თანამედროვე და ისტორიული აფხაზობა ორი სხვადასხვა ძირეულად განსხვავებული — ეთნიკური ჯგუფია და რომ:

ა) თანამედროვე აფხაზობა ესაა ბოლო 2-3 საუკუნის მანძილზე ჩრდილო კავკასიიდან შემოსული ადიღეური მოდგმის აფსუებისა და გააფსუებული ქართველების ნარევი, რომლის ენა და ეთნოფსიქოლოგია აფსუურია, ხოლო კულტურა ქართული, რომელიც უკვე გარუსების გზაზეა დამდგარი.

ბ) ისტორიული აფხაზობა კი ქართველური მოდგმისა იყო — მეგრულენოვანი ეთნიკური ჯგუფი ისევე, როგორც კახელები, ქართველები და სხვები არიან ქართულენოვანი ეთნიკური ჯგუფები.

თანამედროვე აფხაზობა და ისტორიული აფხაზები საერთოდ კი ქართველები იმდენად არიან ნათესავები, რამდენადაც თანამედროვე აფხაზობის ძირითად ეთნოსუბსტრატს (80-84%) სწორედ ქართველები წარმოადგენენ. მაგრამ მათი ენა, ცნობიერება და ეთნოფსიქოლოგია არაქართულია — აფსუურია.

ამიტომაა საჭირო მათი ტერმინოლოგიური გათიშვა-განსხვავება; აუცილებელია „თანამედროვე აფხაზს" თავისი ნამდვილი სახელი „აფსუა" ან „აფსუა-აფხაზი" ვუწოდოთ.

ახლა კი იმის შესახებ, თუ რას ვგულისხმობთ „უმაღლეს საპოლიტიკო ეშელონებში მოქმედი მოღვაწეების შეცდომებში", რომელნიც სწორედ რომ ტერმინოლოგიურ აღრევასთანაა დაკავშირებული.

მოვიყვანთ უამრავიდან მხოლოდ ორიოდე მაგალითს. გასულ წელს, გაზეთ „ახალ თაობაში" დაიბეჭდა ბ-ნ თამაზ ნადარეიშვილის ვრცელი ინტერვიუ, სათაურით „აფხაზებმა თავისუფლება ბრძოლით მოიპოვეს და მას ეგრე ადვილად არ დათმობენ", ხოლო აგერ ორიოდე დღის წინ ამავე გაზეთში გამოქვეყნდა ცნობილი პოეტის ბ-ნ გენო კალანდიას ინტერვიუ სათაურით „აფხაზები გვეუბნებიან — ორჯერ უკვე მოგიგეთ, მესამეჯერ თუ აფხაზეთში გადმოხვალთ, მაშინ ქუთაისამდე გავაგრძელებთ გზასო".

კარგად დააკვირდი და ჩაუფიქრდი, მკითხველო, ამ სათაურებს; აი, რატომ ვერ ქმნის ქართველი „აფხაზისგან" „მტრის ხატს".

მაშ ასე, „აფხაზები", „აფხაზებმა" და ა. შ. ეს ყველაფერი ზღვაში წვეთია.

მე მინდა მივმართო ბატონ თამაზს, ბატონ გენოს და სხვა ბატონებს.

ბატონებო! თუ არძინბა, აიბა, შანბა, ტარბა, გუნბა, ოზგანი, ისკანდერი და სხვ. ნამდვილ აფხაზებად მიგაჩნიათ, რომლებმაც თქვენგან — ქართველებისგან — „თავისუფლება ბრძოლით მოიპოვეს", ხოლო თქვენი თავი მხოლოდ ქართველებად და არა იგივე ისტორიული აფხაზების მემკვიდრეებად, მაშინ რას ემართლებით მათ, რატომ ეცილებით მშობლიურ მიწაწყალს? ე. ი. გამოდის, რომ ისინი სამართლიანად მოიქცნენ, როცა თქვენ გამოგაძევეს.

არადა, ბატონებო, ჩვენი უბედურებაც ისაა, რომ, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ნამდვილი აფხაზები, ქართველი აფხაზები სწორედ რომ თქვენ ხართ, ჩვენ ვართ და არა ადიღეიდან შემოსული აფსუა ან გააფსუებული და ქართულ ცნობიერებადაკარგული ქართველი.

ამ ისტორიულ-იდეოლოგიურ აბსურდსა და აბლაბუდაში არათუ ჩვეულებრივი ქართველი, როგორც ზემოთ გამოჩნდა, პოლიტიკოსებიც კი არ ან ვერ ერკვევიან

და სწორედ ამიტომ ვერ შექმნა ქართველმა „აფხაზის" სახით „მტრის ხატი".

ზემოთ რამდენიმე მომენტს შევეხეთ, იმ რთული ისტორიულ-იდეოლოგიური ხლართიდან, რასაც საქართველოში აფსუათა აბორიგენობა ჰქვია და რაც საფუძვლად დაედო და ედება აფხაზეთში ქართველთა თავზე დატრიალებულ ტრაგედიას — მშობლიურ მიწაწყალზე ქართველთა გენოციდს და რომელიც კიდევ მრავალ ასპექტს შეიცავს.

ამიტომ ზოგიერთ მათგანზე შემდეგში ვისაუბრებთ.

ბიძინა თავაძე

რაც გამორჩა ბატონ ნოდარს

1961 წლიდან თბილისში მოქმედებდა იატაკქვეშა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია

მეექვსე გვერდიდან

გულაშვილი, ლერი ნოზაძე, ლომარ (ლომო) ბალიაშვილი, შოთა მესტვირიშვილი, მიხეილ გაჩეჩილაძე, ზაურ სიმონიშვილი, ვიქტორ ასლამაძე, ბორის დრიაევი, დავით კაპანაძე, კობა ფანჩვიძე, გივი ნატრიაშვილი, ავთანდილ პოპიაშვილი, როსტომ ბეჟანიშვილი, იგორ პატარიძე.

მკითხველისათვის რომ უფრო ნათელი გახდეს ორგანიზაციის საქმიანობის მიზანი მისი ჩასახვიდან, გთავაზობთ ორგანიზაციის წესდების, პროგრამისა და მებრძოლის ფიცის პირვანდელ ვარიანტებს, რომლებიც შემდგომ მუშაობის პროცესში რამდენადმე დახვეწილ იქნა. მხოლოდ რედაქციული თვალსაზრისით. (იხ. მომდევნო ნომერში)

ეროვნულ-განმათავისუფლებელი იატაკქვეშა ორგანიზაციის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1956 წლის 9 მარტს დაგვებადა, როცა მე და ჩემმა თანაკლასელმა როსტომ ბეჟანიშვილმა ერთმანეთს შევფიცეთ: — თუ დღეს ცოცხლები გადავრჩით, მთელი სიცოცხლე საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლას მივუძღვნითო: (სხვათა შორის, 1956 წლის მარტის დასაწყისში, სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დაგმობილი და დამცირებული იოსებ სტალინის გარდაცვალების მესამე წლისთავის აღნიშვნის იდეაც ჩვენ მოვიფიქრეთ და განვახორციელეთ. მიუხედავად ხელისუფლების დიდი წინააღმდეგობისა, ისე ოპერატიულად დავრაზმეთ ქ. გორის ყველა სკოლის მოსწავლეები, რომ სულ რამდენიმე დღეში ქალაქის ცენტრში მდგარი სტალინის მონუმენტი მანამდე არნახული რაოდენობის ყვავილების მანტიაში გაეხვია. უკვე პირველი მარტიდან სტალინის ძეგლთან დღე და ღამე პერმანენტული მიტინგი გვქონდა გამართული. მონუმენტის უკან ქალაქის ხელმძღვანელობის სასახლის შენობას, ობიექტიდან გამოტანილი მასალებით, მოედანზე, მონუმენტის მარცხენა მხარეს, ქოხის მაგვარი „შტაბი" მოვაწყეთ. ღამით რომ არ შეგვცივნოდა, განუწყვეტლივ კოცონი გვენთო. ჩვენს მიერ აგორებულმა ტალღამ 5 მარტიდან უკვე თბილისი და მთელი საქართველო ანალოგიურ პროცესებში ჩაითრია. ამის შესახებ მე „გაკვრით" დავწერე გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" 1991 წ. 9 მარტის № 28 (1661) წერილში „მამები". ჩვენ იმ დროს მე-10 კლასელები ვიყავით, 5 მარტიდან ჩვენი ინიციატივა უფროსებმა აიტაცეს, ჩვენ მეორე „პლანზე" გადაგვნიეს. როცა [illegible]ებზე ხელმისაწვდომობის წარმომადგენლებიც გამოჩნდნენ, აქტიურობა იმათაც კი დაიწყეს, რომლებიც სულ რამდენიმე დღის წინ გვაშინებდნენ და გვმოძღვრავდნენ, სისულელეებს თავი დაანებეთ, ყვავილები ნუ მიგაქვთ მონუმენტთანო. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ მიმხდარის გამო პასუხისმგებლობაც მათ მოეკითხათ და ჩვენ არა მხოლოდ ფიზიკურად, არამედ დაპატიმრებასაც კი გადაურჩით. იმ მოვლენებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენს მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. იმ საშინელი ტრაგედიის შემდეგ უდიდესი სინდისის ქეჯნას განვიცდიდით იმის გამო, რომ ჩვენ წამოწყებული კამპანის შედეგად დაიღუპა ბევრი ახალგაზრდა, ბევრი სრულიად უდანაშაულო ადამიანი. და ჩვენ კი, ვისი მიზეზითაც ისინი დაიღუპნენ — ცოცხლები გადავრჩით. ჩვენ რომ არ დაგვეწყო იქნება არავის არ აეგორებინა ტალღა და აღარც ეს საშინელი ტრაგედია დატრიალებულიყო, ვფიქრობდით სინანულით.

1956 წლის 10 მარტს უკვე მომხდარი ტრაგედიის მეორე დღეს, დილის 10 საათზე ე. წ. ვორონცოვის მოედანზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სტალინის სახელობის ხიდის დასაწყისში მე და ჩემი მეგობარი როსტომ ბეჟანიშვილი მოწმე გავხდით იმისა, თუ როგორ გადასწია გვერდზე რუსმა სერჟანტმა საქართველოს მთავრობის მთელი აცრემლებული შემადგენლობა და იქ შეკრებილ ხალხს ხიშტწამოცმული ავტომატები დაგვადეს თავზე სალდათებმა, შემდეგ სერჟანტის ბრძანებით დაიწყეს სროლა და თანდათან ავომატების დაბლა დაწევა, მანამ, სანამ ყველა მუხლებზე არ დაგვაჩოქეს. ამის შემხედვარე ე. წ. საქართველოს მთავრობის წევრები კი იდგნენ და ატირებული გვეუედრებოდნენ: — „შვილებო, ხომ ხედავთ არ გვინდობენ, გვხოცავენ, ხომ ნახეთ რა მოხდა გუშინ და დაიშალეთ, წადით სახლშიო". ამას მოჰყვა ვიღაც გოგონას განწირული კივილი — „ლაჩრებო, გამყიდველებო, მშიშრებო". აი იმ დაუვიწყარმა სურათმა სამუდამოდ დაგვარწმუნა, რომ ჩვენ ვიყავით რუსეთის კოლონია, დამონებული ქვეყანა და საჭირო იყო ბრძოლა ამ მონობიდან თავის დასაღწევად. სიცრუე იყო ყოველგვარი დემაგოგია „თავისუფალ კავშირზე", ძმურ მეგობრობაზე და ა. შ. ამიტომ ჯერ სკოლაში, შემდეგ წითელ ჯარში ყოფნისას გამუდმებით ვეწეოდით საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აუცილებლობისა და შესაძლებლობის აგიტაცია-პროპაგანდას. სხვათა შორის, 1959 წლის აგვისტო-სექტემბერში ქ. ბრესტის სამხედრო ჰოსპიტალში, ამ აგიტაციის შედეგად ჩვენი იდეის პოზიციაზე იქნა დაყენებული ბევრი ქართველი ჯარისკაცი, მათ შორის რიგითი თენგიზ კიტოვანი (თუმცა ეს სხვა წერილის თემაა).

1961 წლის სექტემბერში თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რამდენიმე სტუდენტმა საბოლოოდ შევძელით ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციის მცირე ჯგუფის შექმნა, რომელიც ძალიან მალე გაფორმდა „საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირად". ორგანიზაციის მიზანი, როგორც სათაურიდანაც ჩანს, იყო არა კომუნიზმის, სოციალიზმის ან რომელიმე „იზმის" წინააღმდეგ ბრძოლა, არა „დისიდენტიზმი", არამედ საქართველოს დამოუკიდებლობა. რა თქმა უნდა, ორგანიზაციაში იყო მსჯელობები და გეგმები თავისუფალი საქართველოს პოლიტიკური მოწყობის თაობაზე, მაგრამ ჩვენი მთავარი და ძირითადი მიზანი იყო „რუსეთისაგან საქართველოს გასნთავისუფლება". ამ მიზნის მისაღწევად ვარჩევდით უამრავ ვარიანტებს, მშვიდობიანი, ხანგრძლივი ბრძოლის მეთოდებით დაწყებული, უკიდურესი შეიარაღებული აჯანყების ორგანიზაციით დამთავრებული. ბოლოს პროგრამა-მინიმუმის სახით ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენთვის ისიც საპატიო და საამაყო იქნებოდა, თუ შევძლებდით, რომ ქართველი ხალხისათვის შეგვეტყობინებინა მისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციის არსებობა და დაგვენახვებინა ამ ბრძოლის წარმატების შესაძლებლობა. რა საშუალებები გაგვაჩნდა ამისათვის? — აგიტაცია-პროპაგანდა, ხალხმრავალ ადგილებში პროკლამაციების გავრცელება და ა. შ. ამასთანავე აუცილებელი იყო ხალხისათვის იმის დამტკიცება, რომ საქართველოს შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც გამორჩა ბატონ ნოდარს

1961 წლიდან თბილისში მოქმედებდა იატაკქვეშა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია

მეშვიდე გვერდიდან

დაე, ეს, თავად საქართველოს თავისუფალმა ხალხმა გადაწყვიტოს-მეთქი — ვთქვი და თანამებრძოლებიც დამეთანხმნენ.

შეიარაღებული ბრძოლის ორიგინალური ვარიანტი წარმოადგინა ერთხელ მუშა გივი ნატრიაშვილმა, როდესაც საქართველოში მოსამზადებელი სამუშაოები დამთავრებული იქნება და ასაფეთქებლად ასანთის გაკვრაღა იქნება საჭირო, მოსკოვში საშვიდნოემბრო დემონსტრაციისას მავზოლეუმის ტრიბუნაზე მდგარ კომუნისტური პატიის ხელმძღვანელებს ყვავილების თაიგულები ავაყაროთ, რომელშიც პატარა ხელყუმბარები იქნება შენილბულიო. ასეთი თაიგულები ერთდროულად შეიძლება თხუთმეტივე რესპუბლიკის ხელმძღვანელობებს აუყაროთ ტრიბუნებზეო, ეს საშინელ არევ-დარევასა და ანარქიას გამოიწვევს მთელ კავკასიაში, ამით ვისარგებლებთ და ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლისათვის გამოვიყვანოთ. ჩვენ მაშინ ეს ჯერ ხუმრობად მივიღეთ, მაგრამ როცა რამოდენიმე ხნის შემდეგ გივიმ ეს გეგმა ქაღალდზე დაწერილი წარმოადგინა და ამ ოპერაციისათვის ხალხიც მოითხოვა, თითო რესპუბლიკაში მინიმუმ ერთი, მაქსიმუმ ორი კაცი მეყოფა, რა მოხდა, 30-მა კაცმა რომ გადადოს თავი, სამაგიეროდ, ამხელა საქმე გაკეთდებაო. ნატრიაშვილი მაშინ ყველამ სათითაოდ გაკიცხა და საყვედურიც გამოვუცხადეთ, ჩვენი ორგანიზაცია ტერორისტული ხომ არ გგონიაო. ეს ამბავი 1991 წელს გამახსენდა, როცა საქართველოში ე. წ. „ყვავილების სროლის“ კამპანია გაჩაღდა. მახსოვს ია მაღლაკელიძეს, რომელიც იმ დროს „მრგვალი მაგიდა, თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის აქტიური წევრი იყო, ხუმრობით ვუთხარი კიდეც, „ყვავილების სროლის“ ნატრიაშვილისებურმა იდეამ შენგან ხომ არ „გაჟონა“-მეთქი.

კავშირის ყველა მებრძოლმა იცოდა, რომ „ჩავარდნის“ შემთხვევაში მისთვის უკეთესი ვარიანტი იქნებოდა რაიმე აბსურდული ბრალდებით წამება და მოკვდინება, ხოლო უარეს შემთხვევაში კგბ-ს ბუნკერებსა და ე. წ. „ფსიხუშკებში“ დამუშავების შემდეგ ნაცნობებისა და ახლობლების წრეში „შერყეულის“ იმიჯის შექმნა, ან სულაც ნამდვილ „შერყევამდე“ მიყვანის შემდეგ განთავისუფლება და საზოგადოებაში შემდგომი ცხოვრება „არასრულფასოვნის“ რეპუტაციით. ეს პერსპექტივა უკიდურესად ართულებდა ჩვენი რიგების გაზრდის შესაძლებლობას. ორგანიზაციაში მისაღებ კანდიდატს თვეების და ზოგჯერ წლების განმავლობაში ვსწავლობდით, ვცდიდით, ვაკვირდებოდით და მაინც ვიზრდებოდით.

ორგანიზაციაში მისაღებ ახალ კანდიდატს ორგანიზაციის რომელიმე წევრი ასახელებდა, ამის შემდეგ ამ დამსახელებელს და კიდევ რომელიმე ერთ-ერთ წევრს ევალებოდა ამორჩეულ კანდიდატთან მუშაობა. ამ მუშაობის მსვლელობის შესახებ კი ისინი ყოველ ჩვენ შეკრებაზე (კვირაში 2-3-ჯერ) გვაწოდებდნენ ინფორმაციას. „კანდიდატის დამუშავება მარტივი წესით მიმდინარეობდა. მას მისი ნაცნობი, ჩვენი თანამებრძოლი შეხვდებოდა და ესაუბრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე. თუ „კანდიდატი“ ამ საკითხით დაინტერესდებოდა, მისი ნაცნობი მას გააცნობდა ჩვენი კავშირის ჩვენს მიერ წინასწარ შერჩეულ წევრს და ეტყოდა, რომ ამან უკეთესად იცის ეს საკითხები და ახლა უკვე ორნი უმტკიცებდნენ, რომ საქართველოს შეუძლია მოიპოვოს დამოუკიდებლობა, მას ამის პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია ამის შემდეგ რომელიმე მათგანი საუბრისას შეაპარებდა, „ჩვენ ხომ არ შეგვექმნა ამისათვის მებრძოლი ორგანიზაციაო“. თუ „კანდიდატი“ ამაზე დათანხმდებოდა, ისინი მას სრულად დაუხატავდნენ იმ სიძნელეთა და საშიშროებათა სურათს, რაც ემუქრებოდა ასეთი ორგანიზაციის შემქმნელებს. თუ „კანდიდატი“ არ შეუშინდებოდა სიძნელეებს, მაშინ ისინი ჩვენი დასტურის შემდეგ ახვედრებდნენ კიდევ ერთ-ერთ ჩვენს წევრთან. ხოლო თუ „კანდიდატი“ ეტყოდა: — „შევქმნათ, მაგრამ აბა ჩვენ რა შეგვიძლია“-ო, მაშინ მას ეტყოდნენ: — „ჩვენ არა, მაგრამ თუ გავიგეთ, რომ ასეთი ორგანიზაცია არსებობს, ჩვენც ჩავერთოთ და გვერდით დავუდგეთ პატრიოტებსო“. თუ „კანდიდატი“ ამაზე თანახმა იყო, მას კიდევ აძლევდნენ ფიქრის დროს და ერთიორი თვის შემდეგ ეტყოდნენ: — „ასეთი და ასეთი ორგანიზაცია ყოფილა და ხომ არ გავწევრიანდეთო“? თუ „კანდიტატი“ ურყევად გადაწყვეტდა ასეთ ორგანიზაციაში შესვლას, მასთან მახვედრებდნენ მე. მასთან საუბრის შემდეგ, თუ ჩავთვლიდი, რომ იგი სანდო პიროვნება იყო, ვაძლევდი „საბრძოლო დავალებას“, რისი წარმატებით შესრულების შემდეგაც იგი ჩაირიცხებოდა „მებრძოლთა“ ერთ-ერთ ჯგუფში. ამ ჯგუფში მუშაობისა და განსაზღვრული დავალებების შესრულების შემდეგ, ჯგუფის წევრების დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში მას საზეიმოდ ვაღებინებდით ფიცს და ოფიციალურად ვიყვანდით კავშირის აღრიცხვაზე. ასეთმა მკაცრმა კონსპირაციამ ის შედეგი გამოიღო, რომ ათწლეულების გასვლის შემდეგაც, როცა 90-იან წლებში საქართველოში ეროვნული მოძრაობა აზვირთდა და მე ძველ თანამებრძოლებთან კავშირები აღვადგინე, ყველა ჩემი ყოფილი თანამებრძოლი აღიარებდა, რომ ჩვენი ადრინდელი მოღვაწეობის შესახებ არც ცოლისთვის, არც შვილისთვის, არავისთვის დღემდე არაფერი არ მითქვამსო.

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო კონსპირაცია. „არჩავარდნა“ მხოლოდ თავდაცვისათვის კი არ იყო საჭირო და აუცილებელი, ეს თავისთავად, მაგრამ ძირითადად უფრო იმიტომ, რომ ხალხს ჩვენი ძალა ეგრძნო, ეფიქრა, რომ პროკლამაციებს ვიღაც „შერეკილები“ კი არ ავრცელებენ, არამედ ანგარიშგასაწევი ორგანიზაცია მოქმედებს, რომელიც კგბ-მაც კი ვერ აღმოაჩინა და ვერ „გახსნა“, ე. ი. ძლიერები ყოფილანო.

ბატონმა შოთა მესტვირიშვილმა, რომელიც ალპინისტი გახლდათ, ერთხელ ასეთი იდეა წამოაყენა: „ზაფხულში“ იალბუზზე ავიტან რადიოგადამცემს და საიმედოდ შევნიღბავო. ის ისე იქნება მოწყობილი, რომ ჩაირთვება და იმუშავებს ძალზე დაბალი ტემპერატურის პირობებში, ისეთში, როგორიც იქ არის იანვარ-თებერვალ-მარტში, ხოლო აპრილში ტემპერატურის აწევისას გადამცემი ავტომატურად გამოირთვებაო. საჭირო ტექსტს ჩაწერთ კასეტაზე, რომელსაც ექნება რევერსი და დავამონტაჟებთ რადიოგადამცემთან, ისე, რომ ჩვენი ამოცანა ისღა იქნება, საქართველოს მოსახლეობას ვაცნობოთ, თუ რომელ ტალღას მოუსმინოს. ასე ვაწარმოებთ აგიტაციას. ზამთარში იმ ადგილებში ვერავინ ავა, ხოლო როცა იქ ალპინისტებისათვის ასვლა შესაძლებელი გახდება, უკვე ტემპერატურა აიწევს და გადამცემი მუშაობას შეწყვეტს მომავალ ზამთრამდე, ისე, რომ მას ვერ აღმოაჩენენო. გასაგები მიზეზების გამო ის პროექტი მაშინ დავიწუნეთ. იყო პროექტი დღესასწაულის დროს ქალაქში წყალბადით გაბერილი ბურთის გაშვებისა, რომელზეც ჩამოკიდებული იქნებოდა პროკლამაციების დასტა. ბურთი ჰაერში განსაზღვრულ სიმაღლეზე გასკდებოდა და პროკლამაციები ქალაქის ქუჩებს მოეფენებოდა და ა. შ. და — ა. შ.

იგორ პატარიძე

გაგრძელება მომდევნო ნომერში

აგრარული პოლიტიკა

სოფლის მეურნეობის რომელი ფორმაა უკეთესი დღევანდელ საქართველოსთვის

მეექვსე გვერდიდან

ფერმერის ოჯახური პროფესიონალიზმი იქამდეც კი მიდის, რომ მას ოჯახის ახალ წევრად (რძალი, სიძე) მოყავს მისი მეურნეობისთვის დეფიციტი სპეციალობის პირი, მაგ ვეტექიმი, თუ ფერმერი ფლობს მსხვილ მეცხოველეობის ფერმას. ამდენად მას არც სჭირდება და არც ყავს მოადგილე, ბუღალტერი, ეკონომისტი და სხვა — ფიზიკური შრომიდან განთავისუფლებული პირი. მაშ, თუ ასეა და მსხვილი ფერმერული მეურნეობა ყველაზე პროგრესულია, რატომ ვაცდენთ ასეულ ათასობით ჰექტარ მიწას და რატომ დღესვე არ გადავდივართ მსხვილ ფერმერულ მეურნეობაზე? იმიტომ, რომ ოქტომბრის რევოლუცია უკვე მომხდარი ფაქტია, მსხვილი მემამულე თავისი მამულით (რომელიც ძალზე მოხერხებული იყო მსხვილ ფერმერულ მეურნეობრობაზე გადასასვლელად) აღარ გვყავს, ხოლო ყოველი სახელმწიფო მეურნეობის მიწა ანუ მსხვილი სპეციალიზებული მეურნეობების პლანტაციები, რომელსაც ათასობით მშიერის თვალი უყურებს ამ მეურნეობების საერთო საცხოვრებლებიდან თუ სოფლის მოსახლეობიდან, — მათი საკუთრებაა იურიდიულად და ცოცხალი თავით არ დაანებებენ ვინმე უცხოს ან ერთ ვინმეს მათი სოფლიდან. ამრიგად მსხვილი ფერმერული მეურნეობები თავისი ეკონომიური მაჩვენებლებით საუკეთესოა, მაგრამ მათ ერთი დაკვრით ვერ ჩამოვაყალიბებთ დიდი რაოდენობით, თავისუფალი მიწების უქონლობის გამო. ხოლო მსხვილი მეურნეობების დაწვრილერთეულებას და შემდგომ გამსხვილებას ფერმერული მეურნეობის სახით ისე დიდი დრო დასჭირდება, რომ ჩვენი ერთი და ორი თაობაც ვერ მოესწრება. ამიტომ ჩვენი მარჩენალი კულტურებით გაშენებული საზოგადოებრივი მეურნეობები კი არ უნდა დავშალოთ და მოვაცდინოთ, არამედ, პირიქით, უნდა აღვადგინოთ და სახელმწიფო სტრუქტურებს დავუმორჩილოთ (ადგილობრივი სპონსორები გამოვიყენოთ). მით უმეტეს, ჩვენ ისტორიულად გაგვაჩნია „ნეპ“-ს დიდი გამოცდილება.

მართალია, რეფორმის შედეგად ერთეულმა პირებმა (თავმჯდომარეებმა, დირექტორებმა და ფულიანებმა) მოახერხეს მიეღოთ ასეული ჰექტრობით მიწები, მაგრამ, ენციკლოპედიური გაგებით მათ ფერმერებს ვერ დავარქმევთ, რადგან ყველა მათგანი (ან უმრავლესობა) თავისი ოჯახის წევრებით კი არ უვლის ამ მეურნეობას, არამედ მთლიანად დაქირავებული მუშა ხელით, ხოლო რა ჰქვია ასეთ მეურნეს, ეს დასადგენია, რადგან ისინი ისე გვანან ნამდვილ ფერმერს, როგორც ლომის ფორმაზე გაკრეჭილი შინაური ლეკვი ნამდვილ ლომს.



თუ დღეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობას არ გააჩნია მსხვილ ფერმერულ მეურნეობაზე მასიურად გადასვლის ობიექტური პირობები, სამაგიეროდ მას აქვს მოცემულ ეტაპზე წვრილი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბების საუკეთესო და ხელსაყრელი საშუალებები ქვეყნის ყველა რეგიონში, თუ ამ საქმეს სახელმწიფო აიღებს ხელში. საქმე შემდეგშია, მთისა და მთისწინა ზონის კოლმეურნეობების დაშლის შედეგად გამონთავისუფლდა ათეული ათასობით ჰექტარი მწირი მიწები. მას შემდეგ, რაც მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთები შეივსო, გარკვეულ ფართობებამდე, ასეთი მიწები ქვეყნის ყველა რეგიონში იმდენია, რამდენიც ნამდვილი ფერმერი მოიძებნება.

ავიღოთ თუნდაც თბილისის ირგვლივ მდებარე მიწები — ლისის ტბისა და წოდორეთის მიდამოები, დიღმისა და დიდგორის ფერდობები, თბილისის ზღვის შემოგარენი, ნორიო-მარტყოფის გზისპირა ფართობები, აქ უკვე ივნისის ბოლოდან ბალახი სანთლით საძებნი ხდება, ხოლო სოფლის ერთი რომელიმე უბნის ნახირი 30-35 სული პირუტყვით (რომელსაც 2-3 მწყემსი უდგას) ძლივს შოულობს ყოველდღიურად საკმარის საკვებს, ასეთი და ბევრად უკეთესი მიწები ათეულ ათასი ჰექტრობით ცდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ვერც ერთი კოლექტიური ან ამხანაგური მეურნეობები ვერ აღადგენენ და მოუვლიან მას ისე, როგორც კერძო ხელი, წვრილი ფერმერული მეურნეობების სახით. კოლმეურნეობები იყო ამ ფართობებზე, გეგმებიც გადაჭარბებით სრულდებოდა — ხვნის, ფარცხვის, თესვისა და სასუქებით გამოკვების, რისთვისაც უახლეს ტექნიკას — ავიაციასაც იყენებდნენ, მაგრამ იქიდან თესლის, სასუქებისა და გაწეული შრომის საფასურსაც ვერ იღებდნენ. წვრილი ფერმერი (30-40 ჰექტარ ფართობზე) ორგანული და მინერალური სასუქების, სარწყავი წყლისა (რომელიც ყველგან მოიპოვება) და მოწინავე აგროტექნიკური ღონისძიებების გამოყენებით გააცოცხლებს ამ მიწას და უზრუნველყოფს 30-40 სულ მეწველ პირუტყვს ბალახითა და სხვა საკვები კულტურებით. საქონლის ეს რაოდენობა სრულიად საკმარისია ამ ფერმისათვის საჭირო ნაკელისა და ბიოგაზების მისაღებად. ქარისა და მზის ენერგიის უმარტივესი მოწყობილობების გამოყენება დაეხმარება ფერმერის ოჯახს ენერგიით უზრუნველყოფაში - და გაჩაღდება კულტურული და შეძლებული ცხოვრება სოფლად - ევროპის ქვეყნების დონეზე, საითკენაც გამუდმებით ვიყურებით, მაგრამ არავითარ პრაქტიკულ ნაბიჯებს არ ვდგამთ, გარდა სესხების აღებისა. ამრიგად, ამ ეგრეთწოდებულ „ჩამოწერილ“ მიწებზე აყვავებული მცირე ფერმერული მეურნეობების გამართვა სრულებით არაა პრობლემა, თუ ამ საქმეს სახელმწიფო ჩაუდგება სათავეში და მოახმარს მას იმ საზღვარგარეთულ სესხებსა და კრედიტებს, რომელსაც ამ მიზნით გვაძლევენ ჩვენ. მხოლოდ იგი უნდა მიეცეს ფერმერს არა ფულად, არამედ შემოსაღობი და საშენი მასალების, მანქანებისა და პროდუქციული პირუტყვის, თესლებისა და სასუქების სახით. თუ ეს საქმე გაიმართება, მაშინ გარდა გარედან მიღებული სესხებისა გამოჩნდება შიგა რეზერვებიც, ადგილობრივი ბიზნესმენებისა და ქველმოქმედებისაგან მიღებული შემოწირულობანი და ინვესტიციები. რაც სრულებითაც არ გახლავთ უტოპია რადგან არაერთი და ორი მაგალითი გაგვაჩნია, მაგალითისთვის ავიღოთ ცნობილი ბიზნესმენი ვალერი დათუაშვილი, რომელიც გარედან შემოტანილი კაპიტალით გაჭირვების ჟამს უანგაროდ დაეხმარა თავისი კუთხის (კახეთის რეგიონის) მრავალი სოფლის პენსიონერებსა და მატერიალურად უმწეო ოჯახებს, ამასთან საკმაო თანხა გაიღო ლაგოდეხში ეკლესიის მშენებლობისა და უკრაინაში დავით გურამიშვილის სახლ-მუზეუმის აღსადგენად.

ასეთი ქველმოქმედები დიდი სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის საქმეში.

ილია კიკაბიძე

საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ს. კ. ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგროტექნოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი.

სახელმწიფოებრივი განვითარების განმსაზღვრელი საზოგადოება – „ერთობის“ განცხადება

აფხაზეთის ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით ვაცხადებთ: გალის შეტაკების ეპიზოდი ფრიად სავალალო აღმოჩნდა საქართველოსთვის. პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება ხელისუფლებას, რომელმაც არაწორი პოლიტიკის შედეგად კიდევ ერთხელ დაფიქსირა საზღვარი აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის. მოსაზრების საფუძველს გვაძლევს შემდეგი: 1. როგორც ცნობილია, პარტიზანებად ითვლებიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მტრის ზურგში მოქმედი საბრძოლო ერთეულები, რომლებიც თვითმმართველობით აწარმოებენ საბრძოლო მოქმედებას. ვინაიდან აფხაზები და აფხაზეთის დანარჩენი მოსახლეობა ოკუპანტებად არ ჩაითვლებიან, რადგანაც ისინი საქართველოს მოქალაქენი არიან, ამდენად პარტიზანულ მოძრაობად გამოცხადება მოვლენისა არასწორია. ხოლო გალის რაიონის ტერიტორია ზურგს არ წარმოადგენს, იგი ფრონტის ხაზია. 2. ხელისუფლებამ ვერ გაარკვია ვინ არის არძინბა და ვის პოლიტიკას აწარმოებს იგი. არის თვითმარქვია ავანტურისტი, სეპარატისტი, აფხაზეთის ხელისუფალი თუ რუსეთის მარionეტი. ასევე ვერ განსაზღვრა საკუთარი მიმართება მის მიმართ. 3. ხელისუფლების „მოსამზადებელი“ სამუშაოები, ანალაბრიდა მოქალაქეების და სხვა პოლიტიკოსთა მიერ ჩატარებული რეკოსმშენებლობა ძალების (და არა მარტო „სამშვიდობო“) ყოფნა ქვეყანაში იურიდიულად საქართველოს ხელისუფლებაზეა დამოკიდებული და თუ ვინმეს სურს რუსები აქედან გაიძვოს, ეს იურიდიული წესები უნდა შეასრულოს. 4. ხელისუფლებას უნდა გაეთვალისწინებინა მოსალოდნელი შედეგები და აქედან გამომდინარე, შესაბამისი ზომები მიეღო. როგორც ჩანს, ქვეყნის ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა ყველაფერი და გაიმეორა იგივე, რაც სოხუმის დაცემის წინ მოხდა. წაქეზებული მოსახლეობა მშობლიურ ადგილებში შეიყვანა და შემდეგ სრულიად დაუცველნი დატოვა. 5. თუ ხელისუფლება აშბალდი სამხედრო ოპერაციას, რატომ ვერ უზრუნველყო სრულად სამხედრო თვალსაზრისით განხორციელებული ქმედებანი. 6. დაბოლოს, ხელისუფლებამ ვერა და ვერ „განსაზღვრა“, თუ ვისთან გვიხდება ბრძოლა და მოვლენებს თავის სახელს ვერ არქმევს, რაც გაურკვევლობაში ტოვებს ქართული პოლიტიკური აზრის მიმართულებას. რეალობა კი ასეთია: რუსეთი არის დღეს საქართველოსთან დაპირისპირებაში და არძინბასთან თამაში ჩრდილეთან თამაშს ჰგავს.

შედეგად მივიღეთ ქართული საბრძოლო სულის დაცემა, მოსახლეობის დემორალიზაცია და კიდევ ერთი მცდელობა გააუცხოონ ქართველები საკუთარი მიწის მიმართ. ხოლო ყოველივე ეს განსაზღვრულია პოლიტიკური სამზადისისათვის, რომელიც ქვეყნის კონფედერაციულ ან უკეთეს შემთხვევაში ფედერაციულ მოწყობას ითვალისწინებს, ეს კი საფუძველს უყრის ქვეყნის დაშლა-დანაწევრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო პროცესებზე

«მათ მოკლეს ჩემი ძმაკაცები და რომ გამოვალ, ყველას მოვთხოვ პასუხს», – დაემუქრა შსს-ს თანამშრომლებს გიგა გელაშვილი

ჩვენი გაზეთი საკმაოდ „გვიან ჩაერთო ჯაბა იოსელიანისა და სხვა განსასჯელთა სასამართლო პროცესის მსვლელობაში. ახლა, როდესაც იგი უკვე დასასრულს უახლოვდება, მაინც ჩავთვალეთ, რომ. მკითხველისთვის პროცესის მიმდინარეობის დეტალური მსვლელობა გაგვეცნო და შემდეგშიც შეძლებისდაგვარად შეგვეტანებინა მის ასახვას.

ამჟამად უზენაეს სასამართლოში მოწმეთა დაკითხვა მიმდინარეობს. 4 ივნისს კი სასამართლოს წინაშე რამდენმე მოწმე წარსდგა. განსასჯელთა მოთხოვნით ჩვენების მისაცემად გამოძახებულნი იყვნენ ის პირები, რომლებსაც ხელმოწერილებით მიჰყავდათ განსასჯელები დაკავებისას შსს-ს იზოლატორში. შსს თანამშრომლებთაგან ერთ-ერთზე, კერძოდ დავით სიმონიშვილზე, განსასჯელმა გურამ პაპუკაშვილმა თქვა, რომ „ეს ის კაცია, რომლის შემოსვლისთანავე ყველანაირი ზემოქმედება წყდებოდა ჩემზე. მე ბადლობელი ვარ მისი". ჯონი ქალიაშვილი კი გოჩა გელაშვილს საკმაოდ მტკივნეულად გაახსენდა. „ეს არის პიროვნება, რომელიც 1995 წლის 8 სექტემბრიდან 16 სექტემბრამდე აწარმოებდა ჩემს წამებას. ელექტროშოკთან მაერთებდა. მერე შემოიტანა ბოთლი და მითხრა, პაატა თედიაშვილიც არ აწერდა ხელს, მაგრამ ბოთლის დანახვაზე მოაწერაო". ქალიაშვილმა მსგავსი ვერაფერი გაიხსენა. გიგა გელაშვილისთვის ხელებისა და ფეხების ფრჩხილების დაძრობის ფაქტიც უარყო. გიგა გელაშვილმა ქალიაშვილს ისიც შეახსენა, „შენ მითხარი, ელგუჯა ორჯონიკიძეს შენი იარაღები აქვს, თუ გვაჩუქებს, არ დავაპატიმრებთო. მე ბარათი გაგატანეთ ორჯონიკიძესთან, სადაც ვწერდი, იარაღები მას გამოატანე, ვინც ბარათს მოგცემსო", — რა ბარათზეა ლაპარაკი, არაფერი ვიცი, — თქვა ჯონი ქალიაშვილმა. გელაშვილი გაცხარდა — ამათ მოკლეს ჩემი ძმაკაცები და რომ გამოვალ, ყველას მოვთხოვ პასუხსო (იგულისხმება ძიების დროს გარდაცვლილი პირები).

იმ დღეს მნიშვნელოვანი მოწმე, დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი ავთანდილ იოსელიანი გახლდათ, რომლის იქ ყოფნაც განსასჯელთა მოთხოვნით იყო გამოწვეული. შეგახსენებთ, რომ 1995 წელს ავთანდილ იოსელიანი უშიშროების მინისტრს, იგორ გიორგაძის მოადგილე იყო. როგორც მან აღნიშნა, 29 აგვისტოს ტერაქტში ბრალდებულთა გამოძიებასთან შეხება არ ჰქონია. უშიშროების სამინისტროს 29 აგვისტომდე არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდა.

— 29 აგვისტოს მე და ჩემი ქალიშვილი მივფრინავდით მოსკოვში, საიდანაც მივდიოდით აშშ-ში. იქ ჩემი ქალიშვილის დატოვების შემდეგ უნდა გამოვბრუნებულიყავი უკან. მოსკოვში რომ ჩავფრინდი, იქ გავიგე ტერორისტული აქტის შესახებ. მე მაშინვე მობილური ტელეფონით დავუკავშირდი იგორ გიორგაძეს, რომელიც იმ დროს მივლინებით მოსკოვში იმყოფებოდა (საერთოდ, გიორგაძე ტერაქტამდე ხან თურქეთში იყო, ხან მოსკოვში, როგორც თვითონ ამბობდა, მკურნალობის მიზნით). მან მითხრა, რომ სასწრაფოდ გაფრინდებოდა თბილისში, — შენ კი გზა განაგრძე ამერიკისკენო. მე გადავრეკე ვაუა ლორთქიფანიძესთან, მითხრა, რომ ფაცაციას თხოვნა იყო, აუცილებლად წასულიყავი თბილისში. მეორე დღეს შუადღისით ჩამოვედი, ზვიადისტების ჯგუფი უკვე დაკავებული იყო.

შემდეგ საუბარი შეეხო გელა პაპუაშვილის დაპატიმრებას. „როგორც ვიცი, 18 სექტემბერს გრძელიძემ და ბასილაშვილმა პაპუაშვილი წაიყვანეს დასაკითხად, მაგრამ გელა არ გაყვა მათ და წამოვიდა „ალფას" ბაზაზე. შემდეგ იყო ინფორმაცია, რომ „ალფას" თავზე საეჭვო ვერტმფრენები დაფრინავდნენ. მე მაშინვე მივედი იქ, ბიჭები საშინლად აღელვებულნი იყვნენ. მე მათ ვუთხარი, რომ გელას გვერდით ვიქნებოდი და ვთხოვე სიმშვიდე შეენარჩუნებინათ. შემდეგ გელა წამოვიყვანე შსს-ში. შევედით კვირაიას კაბინეტში, იქ იყვნენ თარგამაძე, მურღულია და ბაბილაშვილი. გელას რამდენმე კითხვა დავუსვით. მერე იგი სხვა ოთახში გავიყვანეთ. მე „ალფას" გამოძალიან ვღელავდი, აქეთ-იქით დავდიოდი და ბიჭებთან კავშირზე ვიყავი. გელა ყველაფერს უარყოფდა. უთხრეს, რომ დაეწერა ახსნა-განმარტება. მან პატაკი დაწერა ჩემს სახელზე. ეს მოხდა 21 ან 22 სექტემბერს.

როგორც ცნობილია, გელა პაპუაშვილი დააპატიმრეს 22 სექტემბერს. პატაკი კი დათარიღებულია 2 სექტემბრით და რეზოლუციაზეც იგივე თარიღია აღნიშნული. იოსელიანმა განმარტა, რომ 2 სექტემბერი კი არა, 21 წერია, უბრალოდ, ერთიანი ხაზთანაა გადაბმულიო. 21 სექტემბერი პაპუაშვილის დაპატიმრების თარიღს მაინც არ ემთხვევა. აქ იოსელიანმა თქვა, მე 21 მაშსოდაო. პატაკში კი შემდეგი ეწერა. „ივლისის თვეში იგორ გიორგაძე, თემურ ხაჩიშვილი, გიგა გელაშვილი და მე (გელა პაპუაშვილი) ვიყავით პანტელეიმონ გიორგაძის სახლში. გიგამ და თემურომ გიორგაძეს უთხრეს, შენი დახმარება გვჭირდება მეტად მნიშვნელოვან საქმეშიო. მან კი უთხრა, გელა როგორმე ერთ კაცს გამოგიყოფთ, მე თავი დამანებეთო". როგორც გელა პაპუაშვილმა აღნიშნა, ეს პატაკი მოთა კვირაიას მოითითებით დაიწერა. „პატაკს რეზოლუცია გოგოლაძის სახელზე დავადე. მე იგი მურღულიას კაბინეტში დავტოვე, იმ იმედით, რომ ან ელდარ გოგოლაძე ნახავდა ან გადასცემდნენ მას. შემდეგ პატაკს რა ბედი ენია, არ ვიცი", — თქვა იოსელიანმა.

— ბატონო ავთო, ჩემი დაკითხვისას, სანამ პატაკს დაწერდი, ხომ არ შეგინიშნავთ, რომ ცუდად ვიყავი და წამლებს ვსვამდი? — ჰკითხა პაპუაშვილმა.

— წამლები არ დამინახავს, მაგრამ ხასიათზე არ იყავი და ძალიან ნერვიულობდი. გელა, შენ რა პიროვნებაც ხარ, მე ამას ყველგან ვიტყვი. შენ უწესიერესი კაცი ხარ და შენზე ცუდის თქმის უფლება არა მაქვს, — თავისი კეთილგანწყობილება გამოხატა პაპუაშვილის მიმართ ავთანდილ იოსელიანმა.

— ბატონო ავთო, ხომ არ იცით გიორგაძისა და კვირაიას დაპირსპირების შესახებ?

— თავიდან მათ ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. მერე მართლაც შეიმჩნეოდა რაღაც, მაგრამ კონკრეტულად რა ხდებოდა, ამისი თქმა არ შემიძლია.

ავთანდილ იოსელიანი სასამართლოში საკმაოდ დიდ ხანს შეყოვნდა. ბოლოს მოსამართლემ მადლობა გადაუხადა და მანაც შვებით ამოისუნთქა.

მეორე დღეს მოწმედ გამოძახებული იყო პროფესიით მხატვარ-ფერმწერი ზაზა ნებიერიძე. 1994 წლის 6 სექტემბერს თვითმფრინავის დანაღმვის მცდელობასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ ამ დღეს მიემგზავრებოდნენ გია ყარყარაშვილი და პაატა დათუაშვილი.

— 6 სექტემბერს მე მივფრინავდი მოსკოვში, სადაც გამოფენა მქონდა. თან მცილდება ჩემი მეგობარი. როდესაც ბარგი ავწონე, 15 კგ-ით მეტი აღმოჩნდა. მინდოდა მენახა კაცი, რომელსაც ნაკლები ბარგი ექნებოდა და ჩემს ბარგს თავის სახელზე გაიფორმებდა, ამით მე ზედმეტ ხარჯებს ავიცილებდი. როდესაც ჩემს ბარგს ვფუთავდი ცელოფანით, ჩემს შორახლოს შევამჩნიე სიმჭატური გარეგნობის მამაკაცი. გვერდით შავი ფერის პატარა ჩანთა ჰქონდა. მე ვუთხარი, — თუ ძმა ხარ, მეტი თუ არაფერი გაქვს, ჩემი ბარგი შენს სახელზე გავაფორმოთ-მეთქი. მან შემომთავაზა, ჩვენი ბარგი ერთად გავაფორმოთ და ფულს მე გადავიხდიო.

უცნობი ეჭვს არ ბადებდა. მე მას მარჯვენა მხრიდან ვიდადავდი. ეცვა მუქი ფერის პიჯაკი. თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. მარჯვენა ტუნთან შევამჩნიე ნაიარევი, დაახლოებით 3 სმ-ის. მან ჩემი ჩანთა აიღო, თავაზიანობას იგივე ეუსტით ვუპასუხე და მისი ჩანთა მე ავიღე, რომელიც მეტად მძიმე მომეჩვენა. უცნობმა მამაკაცმა მითხრა, რომ ერბო „ვიტას" ქილები მიმაქვსო. მან სალაროში გადაიხადა და მოიტანა ჩეკი. ორივე ბირკა მე მქონდა. შევამჩნიე, რომ იგი წასვლას აპირებდა და ვუთხარი შენი ბირკა შენ გქონდეს-მეთქი. მან გამომართვა მოულოდნელად, ისე რომ არაფერი არ უთქვამს, წავიდა. ჩვენი საუბარი ორ წუთს გაგრძელდა. მე ის ვერ შევნიშნე ვერც ჩასხდომის რიგში და არც თვითმფრინავში აღმოჩნდა. დავეჭვდი და ეკიპაჟის მეთაურს ვუთხარი, ის ჩანთა ვნახოთ-მეთქი. რენდგენზე გამოჩნდა ერბოს ყუთი, რომელიც ცალკე გააშუქეს და ნახეს ასაფეთქებელი ნივთიერება. მე ამას აღარ შევსწრებივარ.

თანამშრომლებმა გამიყვანეს თავიანთ ოთახში და დამინყეს გამოკითხვა. მე აღვწერე ის პიროვნება, როგორც დამამახსოვრდა. მთხოვეს დახატვაც და მეც დავხატე. ერთი წლის მერე წარმომიდგინეს 9-10 ფოტოსურათი. ერთ-ერთი მათგანი მივამსგავსე აეროპორტში ნანახ პიროვნებას. მერე წარმომიდგინეს ორი პიჯაკი, ერთ-ერთზე ვთქვი, მგონი ეს ეცვა-მეთქი.

ამის შემდეგ მოსამართლემ მოწმეს სთხოვა განსასჯელთაგან დარბაზში თუ იყო პიროვნება, რომელიც ოთხი წლის წინ მას აეროპორტში შეხვდა. ნებიერიძეს, როგორც ჩანს, კარგად დამახსოვრებინა ნაიარევი, რის საფუძველზეც ივარაუდა, რომ ის კაცი და განსასჯელი გურამ პაპუკაშვილი შეიძლება ერთი და იგივე პიროვნება იყოსო. თუმცა ეჭვი შეეპარა, მისი ნაიარევი უფრო მოკლე მახსოვს, ვიდრე პაპუკაშვილს აქვსო. სახის მოყვანილობაც მას უფრო თხელი და მოგრძო ჰქონდა. ხაჩიშვილის კითხვაზე, ის პიროვნება როგორ გამოიყურებოდაო, მოწმემ უპასუხა, იგი ამაზე გამხდარი იყოო.

— გამომძიებელი ბესიაშვილი მაშინ ამბობდა ჩემზე, ორი ამხელა იყოო. ფიროზეც კარგად ჩანს, მე როგორი ვიყავი იმ დროს, — თქვა პაპუკაშვილმა.

ნებიერიძეს თმის ფერშიც ეჭვი შეეპარა, პაპუკაშვილს შავი ფერის თმა აქვს, მე კი უფრო ღია ფერის, ფერფლისფერი მახსოვსო. თუმცა გამოძიებისას ჩვენებაში მას შავი ფერის თმა აქვს აღნიშნული.

— გურამ, 1994 წლის 6 სექტემბერს მარჯვენა მხარეს გქონდა იარა? — დასვა კითხვა ხაჩიშვილმა.

— არა, — იყო პასუხი.

ადვოკატის კითხვაზე, ნაიარევის გარეშე ამოიცნობდა თუ არა ნებიერიძე იმ პიროვნებას, მან უპასუხა, — ნაიარევი რომ არ ჰქონოდა, გამიჭირდებოდაო.

გამოძიების რქმში წერია, რომ ნებიერიძეს სამი პიჯაკი წარუდგინეს, მან კი მხოლოდ ორი დაასახელა.



— მე ორი სიტყვით ვერ გავცემ პასუხს, ოთხი წლის წინ ნანახი პიროვნება და გურამ პაპუკაშვილი ერთი და იგივეა თუ არა. მე ერთსახოვანი პასუხის გაცემა არ შეიძლება. სინდისი არ მომცემს ამის უფლებას, — თქვა ზაზა ნებიერიძემ.

შაბათს და კვირას სასამართლოშიც ისვენებდნენ. პროცესი ორშაბათს განახლდა.

მაკა სვიმონიშვილი

გიორგი ხრიკულმა «ელიზის» პრეზიდენტი ამხილა

უზენაეს სასამართლოში ფირმა „ელიზის" ბანდიტური ჯგუფის სასამართლო პროცესზე ერთ-ერთი მოწმე, გიორგი ხრიკული დაიკითხა. მისმა ჩვენებამ რადიკალურად შეცვალა გასასჯელთა მიერ მიცემული ვერსიები. თუ ისინი ბანდის ორგანიზატორად გელა ბატატუნაშვილის გამოყვანას ცდილობდნენ, გ. ხრიკულმა „ელიზის" პრეზიდენტის თამაზ ელიზბარაშვილის ხელმძღვანელობა კონკრეტული ფაქტებით დასაბუთა.

გიორგი ხრიკულის თქმით, მან 1993 წლის ოქტომბერში ქალაქის სამხედრო კომენდატურაში მუშაობისას გაიცნო განსასჯელები გიორგი ქორქია, გივი დავითულიანი, ანატოლი კაროლი, გელა და თამაზ ბატატუნაშვილები. 1994 წლიდან გელა ბატატუნაშვილს სხვადასხვა საქმიანობაში ეხმარებოდა, ვინაიდან თავს მის ახლობლად თვლიდა. ამიტომ 1996 წლის 17 თებერვალს სამსახურიც სთხოვა. მეორე დღეს გელამ დაიბარა და „ელიზის" საიდუმლო განყოფილებაში მუშაობა შესთავაზა, რომლის შესახებაც თამაზ ელიზბარაშვილის გარდა, არავინ იცოდა. თანაც გააფრთხილა, ამის შესახებ არავის გაეგო. გ. ბატატუნაშვილის დაქვემდებარებაში მყოფ ამ სამსახურს თვალი უნდა ედევნებინა კონკურენტ ფირმა „ომეგას" მიერ შემოტანილი სიგარეტის რეალიზაციისათვის. თანაც ეს „ოპერაცია" 10 დღეში უნდა დამთავრებულიყო.

შემოთავაზებულ წინადადებას, გ. ხრიკული დათანხმდა, ვინაიდან ამაში კრიმინალი არ დაუნახავს. 18 თებერვალს „ომეგას" საწყობში შემავალ და გამომავალ მანქანებს, ფირმის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სკოლიდან გ. ქორქია ვიდეოკამერით იღებდა. თვითონ კი გვერდით ედგა. გადაღებული მასალა გ. ბატატუნაშვილს პირდაპირ თამაზ ელიზბარაშვილთან მიჰქონდა, რომელიც ფირს თავის შეხედულებისამებრ ამონტაჟებდა.

„ელიზის" სათვალთვალო ჯგუფი დღე და ღამე ქუჩაში იყო, რომელსაც თ. ელიზბარაშვილი ამოძრავებდა. იგი გ. ხრიკულმა „ომეგას" საწყობთან შეხვედრისას ნახა. 28 თებერვალს მას გელა ბატატუნაშვილმა ხელფასის სახით 200 დოლარი გადასცა.

მარტის დასაწყისში „ელიზის" ოფისში შეიკრიბნენ: თ. ელიზბარაშვილი, გ. ქორქია, ტ. არველაძე და გ. ხრიკული. მათ ოფისიდან ანაგის ქუჩაზე ნაქირავებ ბინაში მაგიდა გადაიტანეს და სატელეფონო მოსმენებს ორგანიზება გაუკეთეს. საუბრების ჩაწერისას თამაზ ელიზბარაშვილი ყოველ ნახევარ საათში რეკავდა და სიგარეტის შემოტანის ამბავს კითხულობდა. შევსებული კასეტები მისივე თხოვნით გ. ხრიკულმა რამდენჯერმე გადასცა.

მოსმენებისას საჭირო გახდა დამატებით 5 ნომრის. ჩართვა, რისთვისაც ბაზრობაზე დამატებით ორი მაგნტოფონი შეიძინეს. თითოში 120 ლარი გადაიხადეს, მაგრამ ზურაბ ცინცაძემ გააფრთხილა გ. ხრიკული, თითქოს 140 ლარი მისცეს. აგრეთვე ზ. ცინცაძემ ბინის დაქირავებისათვის გამოყოფილი 600 დოლარიდან მხოლოდ 300 გადაიხადა, თანაც მან გ. ხრიკული გააფრთხილა, თ. ელიზბარაშვილმა არ გაიგოს, თორემ გამკიცხავსო.

მოსმენებისას სამუშაოს გაზრდის გამო ჯგ[illegible] ტრისტან ჭოხონელიძე და [illegible] აფხაიძე დამატა. ამ უკანასკნელს საუბრების შინაარსი ფურცელზე გადაჰქონდა და თ. ელიზბარაშვილთან აგზავნიდა. სამი თვის შემდეგ, მოსმენები ტრანსპორტის სამინისტროს შენობიდან გაგრძელდა. თ. ელიზბარაშვილი მობილური ტელეფონით 97-02 01 რეკავდა და მოვლენების კურსში იმყოფებ[illegible]. სწორედ ამ მოსმენებით დადგინდა, რომ „ომეგას" ბათუმში დიდი თანხა გადაჰქონდა.

აგვისტოში გ. ბატატუნაშვილმა ბანდის შეკრება დაიწყო. თანამონაწილეებს თანხის 10 პროცენტს, ხოლო ძალიან დიდი რაოდენობის შემთხვევაში კი დამატებას ჰპირდებოდა. თავდასხმა ჯვრის მონასტერთან უნდა მომხდარიყო. გ. ხრიკულს შინაგანი პროტესტი გაუჩნდა და თავდასხმის დღეს „ომეგას" მანქანების გამოსვლის ინფორმაცია 20 წუთის დაგვიანებით შეგნებულად გადასცა. ამიტომაც ეს ოპერაცია ჩაიშალა, ვიცინცაძემ გააფრთხილა გ. ხრიკული, თითქოს 140 ლარი მისცეს. აგრეთვე ზ. ცინცაძემ ბინის დაქირავებისათვის გამოყოფილი 600 დოლარიდან მხოლოდ 300 გადაიხადა, თანაც მან გ. ხრიკული გააფრთხილა, თ. ელიზბარაშვილმა არ გაიგოს, თორემ გამკიცხავსო.

მოსმენებისას სამუშაოს გაზრდის გამო ჯგ[illegible] ტრისტან ჭოხონელიძე და [illegible] აფხაიძე დამატა. ამ უკანასკნელს საუბრების შინაარსი ფურცელზე გადაჰქონდა და თ. ელიზბარაშვილთან აგზავნიდა. სამი თვის შემდეგ, მოსმენები ტრანსპორტის სამინისტროს შენობიდან გაგრძელდა. თ. ელიზბარაშვილი მობილური ტელეფონით 97-02 01 რეკავდა და მოვლენების კურსში იმყოფებ[illegible]. სწორედ ამ მოსმენებით დადგინდა, რომ „ომეგას" ბათუმში დიდი თანხა გადაჰქონდა.

აგვისტოში გ. ბატატუნაშვილმა ბანდის შეკრება დაიწყო. თანამონაწილეებს თანხის 10 პროცენტს, ხოლო ძალიან დიდი რაოდენობის შემთხვევაში კი დამატებას ჰპირდებოდა. თავდასხმა ჯვრის მონასტერთან უნდა მომხდარიყო. გ. ხრიკულს შინაგანი პროტესტი გაუჩნდა და თავდასხმის დღეს „ომეგას" მანქანების გამოსვლის ინფორმაცია 20 წუთის დაგვიანებით შეგნებულად გადასცა. ამიტომაც ეს ოპერაცია ჩაიშალა, ვინაიდან სწრაფად მიმავალ მანქანებს ველარ დაეწეოდნენ.

5 სექტემბრის თავდასხმის მოახლოებისას თ. ელიზბარაშვილმა ჯგუფს უთხრა — დააყაჩაღეთ, წაართვით, მაგრამ რამე რომ მოხდეს, თქვენ არ მიცნობთო. ამას ისმენდნენ გ. ქორქია, ტ. არველაძე და ტ. ჭოხონელიძე. თავდასხმის დღეს გ. ხრიკული „ომეგას" ოფისს უთვალთვალებდა და რაციით გადასცა გაზ-31 და ვაზ-07 ავტომანქანების გამოსვლა. დაყაჩაღების შემდეგ, თანხა ნიკო გიორგაძემ გაყო. გ. ხრიკულს 4200 დოლარი და 100 ლარი შეხვდა, რომელიც არ დაუხარჯავს.

თ. ელიზბარაშვილი კმაყოფილი იყო, მაგრამ „ომეგამ" მალე კვლავ კონკურენციის გაწევა დაუწყო. ამიტომაც მან ჯგუფს დაავალა — რაც გინდათ გააკეთეთ, ოღონდაც ეს ფირმა ჩამომაცილეთო. გ. ბატატუნაშვილმა „ომეგას" საწყობის დასათვალიერებლად გ. ხრიკული წაიყვანა. მათ უნდა დაედგინათ შესასვლელები, რომ აფეთქება მოეწყოთ. ზ. ცინცაძემ უთხრა გ. ხრიკულს, რომ ერთი მანქანის აფეთქებაში თ. ელიზბარაშვილი 5 ათას დოლარს იძლეოდა.

შემდეგი ვერსია იყო ახალი წლის დღეებში „ომეგას" პრეზიდენტ ზაზა ოქრუაშვილზე წყნეთთან ტერაქტის მოწყობა. გ. ხრიკული მას მანქანით დაედევნა, მაგრამ შეგნებულად ჩამორჩა...

მეორე თავდასხმის მზადებისას გ. ხრიკული „ომეგას" წარმომადგენლებს შეხვდა და ყველაფერი აცნობა, მაგრამ მათ არ დაუჯერეს. თავდასხმის შემდეგ კი გ. ბატატუნაშვილის მიერ გაყოფილი ნადავლიდან მას 13 ათასი დოლარი შეხვდა.

გ. ხრიკულმა აღნიშნა, რომ თავდამსხმელთა გვარები არ იცოდა, მაგრამ ინფორმაცია ჰქონდა, რომ ისინი პოლიციელები იყვნენ. ამიტომაც გარანტიების უქონლობის გამო პოლიციაში არ გამოცხადდა. იგი „ომეგას" ოფისიდან შსს მეექვსე განყოფილებაში წაიყვანეს...

გ. ხრიკულმა ასევე დაადასტურა სატელეფონო სადგურის თანამშრომლის ირინა ტყემალაძისთვის ორჯერ 100 და 200 დოლარის გადაცემაც, რომელიც თამაზ ელიზბარაშვილმა გაატანა. ამიტომ იგი ქრთამის მიცემის ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ გრძნობს. მანვე განმარტა, რომ ი. ტყემალაძე სულ ფულს ითხოვდა და კაბელების გადაჭრით იმუქრებოდა. ამიტომაც მას ხელფასი თ. ელიზბარაშვილმა 100-დან 500 დოლარამდე გაუზარდა.

ამდენად, გ. ხრიკულის ჩვენებამ ბევრ რამეს ახადა ფარდა.

ვნახოთ, ამის პასუხად „ელიზის" ადვოკატები და განსასჯელები სასამართლოს რა ვერსიებს შესთავაზებენ.

გუგაზ მეგრელიძე

SPORT სპორტის სამყარო SPORT

გუშინ, იოზეფ ბლატერი ფიფას პრეზიდენტად აირჩიეს.

თანამედროვე ფეხბურთში დაიწყო ახალი ეპოქა. საინტერესოა, ახალს რას შემოგვთავაზებს ფიფას ახალი პრეზიდენტი. იმედია, მისი წინამორბედების დაწყებულ საქმეს იგი ღირსეულად გაუძღვება.

ამხანაგური მატჩები

მოახლოვდა მსოფლიოს ჩემპიონატი, გუნდები მაქსიმალურად ცდილობენ, რათა დარჩენილი დრო ნაყოფიერად გამოიყენონ. ატარებენ ამხანაგურ შეხვედრებს. გთავაზობთ ამხანაგური მატჩების შედეგებს:

შვეიცარია — იუგოსლავია 1:1

გოლები: 0-1 გრნოვიჩი, 1-1 მიულერი.

ფინეთი — საფრანგეთი 0:1

გოლი: 0-1 ტრეზეგე.

ხორვატია — ავსტრალია 7:1

გოლები: 1-0 შუკერი, 2-0 შუკერი, 3-0 პროსინეჩკი, 4-0 ბომანი, 5-0 შუკერი, 6-0 კოზნიკუ, 7-0 ბომანი.

ჰოლანდია — ნიგერია 5:1

გოლები: 1-0 ჯიმი, 2-0 ოვერმარსი, 3-0 კლიუვერტი, 3-1 კანუ, 4-1 კლიუვერტი, 5-1 ვან ჰოიდონკი.

გულგარეთი — ალჟირი 2:0

გოლები: 1-0 სტოიჩკოვი, 2-0 იორდანოვი.

გერმანია — ლუქსემბურგი 7:0

გოლები: 1-0 კირსტენი, 2-0 კლინსმანი, 3-0 ჰელმერი, 4-0 კირსტენი, 5-0 ბირჰოფი, 6-0 ბირჰოფი, 7-0 ციგე.

რუმინეთი — მოლდოვა 5:1

გოლები: 1-0 ჰოპესკუ, 2-0 პეტრესკუ, 3-0 დუმიტრესკუ, 4-0 მოლდოვანი, 5-1 ნიკულესკუ, 5-1 ტაბანოვი.

დანია — კამერუნი 1:2

გოლები: 0-1 ომამ ბიიკი, 0-2 ომამ ბიიკი, 1-2 მიოლერი.

ტუნისი — უელსი 4:0

გოლები: 1-0 ბენ იუნესი, 2-0 ბადრა, 3-0 ჯაბალა, 4-0 ბადრა.

ბელგია — პარაგვაი 1:0

გოლი: 1-0 შიფო.

სამხრეთ აფრიკა — ისლანდია 1:1

გოლები: 1-0 მაკკარტი, 1-1 ტორდასონი.

ყიდბლო ვარსკვლავები

ხვალიდან მსოფლიო ფეხბურთში დიდი ზეიმი იწყება, საფრანგეთში გუნდების სარეკორდო მაჩვენებელია. ამ ტურნირში ბევრ ახალგაზრდა ფეხბურთელს ექნება შესაძლებლობა გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი და

ხელიდან არ გაუშვას თავის გამოჩენის ეს შესაძლებლობა. მაგრამ ჩემპიონატი მაინც ვარსკვლავების სათამაშო შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული. სამწუხაროდ, არიან ისეთი უღიერი ვარსკვლავები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო მოუწევთ ტურნირის გამოტოვება. ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან რომარიო, კაზირაგი, გესქოინი, ძოლა, ბოქშიჩი და პერუცი დიდად დააკლდება წლევანდელ ჩემპიონატს.

რომარიოს სჯეროდა, რომ მისი ნაკრები წარმატებას მიაღწევდა მსოფლიოს პირველობაზე მასთან ერთად. ბრაზილიელთა ექიმმა ლიდიო ტოლედომ განაცხადა, რომ რომარიოს გამოსვლა მინდორზე არ შეიძლება, რადგან მუხლქვეშა მყესი ფეხბურთელს ჯერ არ შეხორცებია. ეს ტრავმა რომარიომ ბრაზილიის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში მიიღო. რომარიომ ამ ამბის შემდეგ პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც აღნიშნა, რომ ეს უმძიმესი მომენტია მის ცხოვრებაში და თან დაამატა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის სანაკრებო კარიერას დასასრული უწერია, იგი შეეცდება კიდევ მრავალჯერ მოხვდეს თავისი ქვეყნის ნაკრებში.

სამწუხაროდ, რომარიოს სახით ტექნიკის დიდი დემონსტრატორი დააკლდება მსოფლიო პირველობას.

იგივე ტრავმებმა შეუშალეს ხელი იტალიელ პერუცის და ხორვატ ბოქშიჩს. სამწუხაროდ მათ არ გაუმართლათ, არადა ნაკრებში თამაში დაბეებული ორივეს ჰქონდა. რაც შეეხება ძოლას, კაზირაგს და გესქოინს, მათ სულ სხვა მიზეზები გააჩნიათ. პატარა იტალიელს, თასების თასების ფინალში გატანილმა გოლმა მართალია გაუორმაგა მანსები მსოფლიო ჩემპიონატში მოხვედრისა, მაგრამ ჩეზარე მალდინიმ მას რობერტო ბაჯო ამჯობინა. კაზირაგის არწაყვანის მიზეზი, ალბათ მის მიერ სუსტად ჩატარებული სეზონია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სწორედ კაზირაგის გატანილმა გოლმა რუსებთან მატჩში იტალიელები მოახვედრა ფინალურ ტურნირზე.

პოლ გესქოინი — მისი სკანდალური სახელი ბოლო წლების მანძილზე ბევრი ჟურნალისტის საჭორაო თემა იყო. ძირითადად უარყოფითი მხრიდან. არადა გაზა ოცდაოთხი წლის ასაკში მსოფლიოს ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად ითვლებოდა. იყო პერიოდი, როდესაც მას თვით მარადონასაც კი ადარებდნენ. მან თავის თავს უნდა დააბრალოს, ბოლო წლებში ასე სასაცილოდ რომ აიგდო თავი. არადა, ინგლისელ გულშემატკივრებს დიდად სიამოვნებთ მინდორზე მისი გამოჩენა და სჯერათ, რომ გაზა მუნდილიაზე შესანიშნავად ითამაშებდა. ჰოდლს კი სულ სხვა გეგმები ჰქონდა, მწვრთნელმა ფეხბურთელის არწაყვანის მიზეზად მისი სათანადო ფორმაში არყოფნა დაასახელა. სანამ ჰოდლი ოცდაორი კაცის სიას გამოაქვეყნებდა, ისეთი გამოჩენილი მწვრთნელები, როგორებიც არიან ტერი ვენეიბლზი, ბობი რობსონი, შეცდომად ჩაუთვლიდნენ ინგლისელთა მწვრთნელს პოლ გესქოინის არწაყვანას. მაგრამ ჰოდლი მტკიცე ნებისყოფის პიროვნება აღმოჩნდა და საკუთარ პრინციპებს არ უღალატა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფეხბურთელების არყოფნამ მილიონობით ფეხბურთის გულშემატკივარს დასწყვიტა გული და თვით ჩემპიონატსაც გარკვეული წილი სილამაზე მოაკლო.

გიორგი დოლიძე

რუსეთის თასის ფინალი

„სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“ 1:0

ევროპაში კარგა ხანია დამთავრდა საფეხბურთო სეზონი. ინფორმაციის სიმწირის გამო ამჯერად გთავაზობთ რუსეთის თასის ფინალური მატჩის მიმოხილვას.

რუსეთის თასი ზედიზედ მესამედ არცერთ გუნდს არ აუღია. ამის გაკეთება კი წელს „ლოკომოტივს“ შეეძლო. რკინიგზელთა სამწუხაროდ, მათ ეს ვერ შეძლეს. თვით მატჩი კი ლამაზი და სანახაობრივი გამოდგა. შეხვედრა იმდენად სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა, რომ ბურთი მოედნის ცენტრში თითქმის არ ჩერდებოდა. პირველივე წუთზე ციმბალარი ლამაზად შეიჭრა საჯარიმოში, მაგრამ მისი ჩაწოდებული ნიგმატულინმა მოიგერია. ამ მატჩში ბევრი იყო ძლიერი და შორეული დარტყმები. მაგრამ ორივე გუნდის მეკარე ფხიზლად დარაჯობდა თავის კარს. შუა ტაიმში ისევ გაიბრწყინა თავისი ოსტატობით რკინიგზელთა მეკარემ. მან ციმბალარის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ჯარიმა შესანიშნავი რეაქციით გააუვნებელყო. რამდენიმე წუთში „სპარტაკელებმა“ გაითამაშეს მათთვის დამახასიათებელი მოკლე გადაცემებით ლამაზი კომბინაცია. ტიხონოვმა საჯარიმოში პასი მიიღო, ჩამოიშორა ერთი მცველი, მისი დარტყმული კი ძელმა მოიგერია. მეორე ტაიმი რკინიგზელებმა შედარებით აქტიურად დაიწყეს. ბოროდიუკმა ჩამოიშორა რამდენიმე ფეხბურთელი, შეიჭრა საჯარიმოში და ბურთი გადააწოდა. ზაზა ჯანაშიას. ამ უკანასკნელმა კი ძალზე ხელსაყრელი პოზიციიდან მოახერხა ბურთის აცილება. შემდეგ თვით ზაზამ გაუკეთა კარგი გადაცემა სალამატინს, რომლის დარტყმული ცოტათი ასცდა კარს. მსაჯმა ბუზნიკინზე საეჭვო თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა, რითაც საკმაოდ გაანაწყენა სპარტაკელი ფეხბურთელები. ამას მოჰყვა ტიხონოვის შორიდან დარტყმული ბურთი, რომელიც გზაში ცენტრალურ მცველს მოხვდა და კარის ბადეში გაეხვია. „ლოკომოტივს“ რუსეთის ჩემპიონობისათვის არცთუ ისე დიდი შანსები აქვს. ამიტომ თასების თასზე ისინი იმ შემთხვევაში გავლენ, თუ მოსკოვის „სპარტაკი“ მოახერხებს ქვეყნის ჩემპიონობას.

პარმამ შესაძლოა ფოცხვერიას ყოფილი კონკურენტი შეიძინოს

დონეცკის შახტიორის ყოფილი ფეხბურთელი სერგეი ატელკინი, რომლის გამოც საქართველოს ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელი მიხეილ ფოცხვერია კარგა ხანს იჯდა სათადარიგოთა სკამზე, ნელ-ნელა პროგრესს განიცდის. ალბათ გახსოვთ, რომ შარშან ატელკინი იტალიურ ლიჩეში გადავიდა, რომელსაც ერთობ წარუმატებელი სეზონი ჰქონდა სერია „“-ში. ძნელი სათქმელია, რით გამოიჩინა ატელკინმა თავი იტალიაში, მაგრამ ფაქტია, რომ მისი პერსონით დაინტერესება იტალიის ერთ-ერთმა უძლიერესმა გუნდმა, პარმამ გამოთქვა. კლუბის ხელმძღვანელობის განცხადებით, ატელკინი სწრაფი, ათლეტური და დაუღალავი მოთამაშეა, რაც შესაძლოა ძალიან წაადგეს პარმას. თუმცა იტალიელები ატელკინთან კონტრაქტის გაფორმებას მაინც არ ჩქარობენ და ჯერ-ჯერობით მხოლოდ მისი გასინჯვით შემოიფარგლებიან. სერგეი ატელკინმა პარმაში უკვე ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და ერთი ბურთის გატანა მოახერხა. სავარაუდოა, რომ უკრაინელი ფორვარდის თამაზეე საბოლოო პასუხი დაახლოებით ორ კვირაში იქნება მიღებული.

ვენეიბლზი ავსტრალიის ნაკრებს უთავკაცებს

ინგლისელი მწვრთნელი ტერი ვენეიბლზი ამ თვეში კვლავ სათავეში ჩაუდგება ავსტრალიის ნაკრებს, რომელიც რამდენიმე დღეში ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს ხორვატიის ნაკრების წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ ავსტრალიელები ვერ მოხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ფლეი ოფში ისინი ირანელებმა დაამარცხეს ორი მატჩის ჯამში.

რაც შეეხება ხორვატიის ნაკრებს, ბალკანელები მსოფლიოს ჩემპიონატისათვის ემზადებიან და ეს შეხვედრაც სწორედ ამისთვის ჭირდებათ. სხვათა შორის, ავსტრალიელებთან მატჩში მათ შემადგენლობაში ავსტრალიაში დაბადებული ხორვატი ანტე სერიჩი ითამაშებს. სერიჩი ორივე ქვეყნის მოქალაქეა, მაგრამ იგი მაინც ხორვატიაში არჩევს თამაშს.

ასეა თუ ისეა... ყველაფერი რიგზეა?!

ერთი კოლოფი ასანთი გორში ერთ კილო ვაშლს ყიდულობსო, ამბობენ თბილისში. ასანთის მაქსიმალური ფასი — 5 თეთრი კი ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ხუმრობა იქით იყოს და ვაშლის ფასი გორში მართლაც სასაცილოა. არადა, მეხილეობა ოდითგან იყო ქართველი გლეხკაცის მამამარჩენალი. სოფლის მეურნეობაში ეს დარგი, შეიძლება ითქვას, დღესაც წამყვანია... მაშ, რით ცხოვრობს გორელი კაცი? ისევ და ისევ მეხილეობით. ამ რეგიონის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ამსახველი პირველ რიგში მათი წარმოებული პროდუქცია. და ამ პროდუქციის ფასი გახლავთ... ამდენად, როცა საუბარი უბრალო, მშრომელი ადამიანების ჭირ-ვარამს ეხება, ადვილი არ უნდა იყოს...

ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესი სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის განსაკუთრებულად მტკივნეულად მიმდინარეობს. საქართველოს მოსახლეობა გაჭირვებულად რეგიონებისა ერთნაირად კრიზისულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი...

„ეკონომიკური სტაბილიზაციისა და უმნიშვნელოვანესი პერიოდის მოვლენები თავის ასახვას პოულობენ შიდა ქართლის მხარეში. ამ პროცესების მართვა, დადებითის გაღრმავება და უარყოფითი ტენდენციების დაძლევა მხარისა და მასში შემავალი რაიონების ხელმძღვანელობის ზრუნვის მუდმივი საგანია“, — ვკითხულობთ შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის სამსახურის მიმართვაში პარლამენტის თავმჯდომარისადმი.

— „მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა“, „გორში და საერთოდ მთელს მხარეში ყველაფერი რიგზეა“ — ვისმენთ ამ მხარის ხელისუფალთა საუბრებში...

აქა-იქ „ბოროტ ხმებსაც“ მოვკარით ყური: „გორი ის ქალაქია, სადაც პრეზიდენტის თუ პარლამენტის არცერთი განკარგულება, არცერთი დადგენილება არ სრულდება.“ ჭორი ჭორია, თუმცა მასში სიმართლის ნატამალიც ურევია ხოლმე...

ასეა თუ ისეა, ქალაქში სრული სიმშვიდეა (გორში „ბუნტიაო“ — გაგიგიათ ოდესმე?), უფრო მეტიც, სიცოცხლე იგრძნობა... განსაკუთრებით ბაზარში (რას იზამ? წარმოებადაწესებულებათაგან ერთეულები თუ მუშაობენ და თანაც არასრული დატვირთვით)...

ყველა რაღაცას ყიდის (თავი ხომ უნდა ირჩინონ!)...

— სხვა რომ არაფერი აქვთ გასაყიდი, ზოგი სათაგურს ყიდის შინიდან გამოტანილს — გვითხრა ინდივიდუალური საწარმო „ლიახვის“ მეპატრონემ **ჯემალ წიკლაურმა**. ბაზრის მეპატრონის ასეთი წუხილი მოსახლეობის გაჭირვებაზე, როგორც ბატონ ჯემალთან საუბრისას ვნახეთ, ჩვენს პრაქტიკაში პირველი იყო.



— მოსახლეობა ბაზარში დაწესებული ტარიფის გადახდას რომ ვერ ახერხებს, შეღავათს ითხოვს, — ზოგს მისი გადახდის საშუალება სულაც არა აქვს, არადა ჩვენი ჰუმანურობა ხშირად ჯარიმებადაც გვიჯდება ხოლმე, — სწუხს ბატონი ჯემალი.

მოკლედ, მთელს ქალაქში სულ რამდენიმე (თითზე ჩამოსათვლელი) წარმოება თუ მუშაობს.

ყველაზე უკეთ კონცენტრატების ქარხანას აქვს საქმე. წარმოებული პროდუქცია უცხოეთის ბაზარზე — კერძოდ, გერმანიაში — გააქვთ სარეალიზაციოდო — იმედის მომცემად წაიტრაბახეს გორელებმა.

საკონსერვო ქარხანა შესანიშნავ პროდუქციას უშვებსო..., მაგრამ იგი შიდა ბაზარზე რჩება და მოგეხსენებათ, ამ ბაზარზე დამოკიდებულ ქარხანა-წარმოებებს საქმე როგორც მიუდით ხოლმე.

შიდა ბაზრის ათვისებას ცდილობს სპუმანტის „თამარ მეფე“ მწარმოებელი ერთობლივი საწარმო, შპს „საქართველო“, რომელშიც შემდეგი ფირმებია გაერთიანებული: იტალიური ფირმა „ჩეისი“, მოსკოვის ფირმა „ალიდა“. წარმოება ყოფილი ცეკავშირის ბაზაზე შეიქმნა (გენერალური დირექტორი იტალიის მოქალაქე დენის კაზლოვი გახლავთ). გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე **ბორა გოგიჩაიშვილი** როგორც



ამბობს, პროდუქციის რეალიზაცია ძალიან გაძნელდა, სტანდარტების შესაბამისი ხარისხი გამოშვების დღიდან შენარჩუნებულია, მაგრამ ფალსიფიკატორები ყალბის წარმოებით ნამდვილ „თამარ მეფეს“ სახელს უტეხენ. სულ მალე დამცავი მექანიზმი დროებით მაინც მოუცარავს ხელს ფალსიფიკატორებს, ფირმის ხელმძღვანელობას კი ახალი საზრუნავი ექნება, შეძლებისდაგვარად შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და გაზარდონ რაოდენობა. რაც შეეხება საწარმოს საგადასახადო ტარიფებს, ამ პრობლემის მოგვარება უახლოეს მომავალში პერსპექტივაშიც არ ჩანს (ეს ხომ მათგან დამოუკიდებლად უნდა მოხდეს!).

მართალია, მომუშავე წარმოება-დაწესებულებების ოდენობა არც ისე ბევრია, მაგრამ შიდა ქართლის ახლადშექმნილ ოპერატიულ სამსახურს საქმე მაინც საკმაოდ აქვს.

ორი თვეა რაც ეს სამსახური ფუნქციონირებს, ადგილობრივი ბიუჯეტის შევსებაში კი უკვე დიდი წვლილი შეიტანეს.

ოპერატიული სამსახურის განყოფილების უფროსმა ბატონმა **მალხაზ კაპანაძემ** გვითხრა, რომ მისი სამსახური ჯერჯერობით ძირითადად ნარჩენი თანხების ამოღებაზე მუშაობს. მათი ფუნქციაა მოიკვლიონ, გამოავლინონ და დარღვევების შესაბამისად სათანადო ორგანოებს მიაწოდონ სათანადო მასალები. თუმცა ყოველივე ზემოთქმულთან ერთად პროფილაქტიკურ ღონისძიებებსაც ატარებენ.

— აღურიცხავი პროდუქცია ან შემოსავალი ბევრ ორგანიზაციაში გვხვდება, ჩვენ მათ შესაბამისად ვაჯარიმებთ ბიუჯეტის სასარგებლოდ, თუმცა ამასთან ერთად განსაკუთრებით დიდი როდენობით დამალული თანხების აღმოჩენაზე ვმუშაობთ, — ამბობს ბატონი მალხაზი.

ორი თვე, რაც ამ სამსახურის შექმნიდან გავიდა, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა 1996-97 წლებში დამალული, მავანთაგან უკვე დავიწყებული მონაცემების აღმოსაჩენ-გამოსავლენად და ოპერატიული სამსახურის უფროსიც, არცთუ უსაფუძვლოდ, ამაყობს თავისი თანამშრომლებით.

მოკლედ, კარგიც ბევრი ხდება გორში, და, ალბათ, ავიც... მედალს ორი მხარე აქვს. ჭორიც ბევრი დადის და ვითომ ჭორიც (სრულ სიმართლეს რომ ასახავს).

ავდგებით და „ვითომ ჭორად“ გეტყვით ჩვენც... მიზეზთა და მიზეზთა გამო ქალაქის მერთან გასაუბრება ვერასდიდებით მოვახერხეთ (დღის გრაფიკის მცოდნე მდივანმა საჭიროდ არ მიიჩნია (!) მისთვის ჟურნალისტთა (ჩვენი) სტუმრობის შესახებ მოეხსენებინა).

თუმცა, რა — ალბათ, მერიც ხელისუფლებაში დადგენილ საყოველთაო აზრს გაიზიარებს წინსვლა-გამარჯვებათა შესახებ.

მანანა გელოვანი
ნანა ზურაბიშვილი

მაგლევი ტრანსპორტის ხვალინდელი დღეა

მაგნიტური ამსუბუქების რკინიგზა (მაგლევი) გერმანული ტექნოლოგიაა. დღეს მისით მაქსიმალურად დაინტერესებულნი არიან ამერიკელებიც, რომლებმაც ამ დარგისთვის უკვე 1 მილიარდი დოლარის ასიგნება მონიშნეს. გაზეთი „ინტერნეიშენელ ჰერალდ ტრიბუნი“ ასე აღწერს გერმანიის ქ. ემსლანტში ამ ახალი ტრანსპორტის საექსპერიმენტო ბაზარში მიღებულ შთაბეჭდილებას:

„მგზავრები რომ დასხდებიან, ცხვირპაჭუა მატარებელი იწყებს ამაღლებას თავისი ლიანდაგებიდან. ცოტა ხანში კი უკვე უხმოდ მიექანება 480 კმ-ის სიჩქარით, იგი მიჰყავთ ელექტრომაგნიტებს და ლიანდაგებში მოთავსებულ ხაზურ (წრფივ) ძრავას. დღეში რვაჯერ იგი გადის 32 კმ-იან გზას და ემზადება პირველი კომერციული რეისისათვის ბერლინიდან ჰამბურგამდე“.

„წითელი ქხმერები“ იქსაქსებიან

წითელი ქხმერების ცნობილი ლიდერები და მოკი („ყასაბი“) და სორბონის უნივერსიტეტდამთავრებული ხიუ სამპანი შენიშნეს, როცა ისინი თავისი ჯუნგლებში განლაგებული ბანაკიდან ტაილანდის საზღვრისკენ მიიპარებოდნენ. მათ მომხრეთა რამდენიმე ნაწილმა მთავრობის ძალებისადმი დანებება არჩია. ასეთთა რიცხვმა 24 მარტიდან 1600 სამხედროს და 3000 სამოქალაქოს მიაღწია, განხეთქილებას წითელ ქხმერთა შორის ხელი შეუწყო ხელისუფლებამ.

მეფემ ნოროდამ სიანუკმა შეუნდო თავის ძეს წითელ ქხმერებთან შეკავშირება გასული წლის ივლისში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისას, რომელიც მარცხით დამთავრდა. ამგვარად, უფლისწული დაბრუნდება თავის ნებაყოფლობითი ლტოლვილობიდან და მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, რომლებიც აუცილებელ პირობას წარმოადგენენ, რათა ქვეყანამ უცხო დახმარება მიიღოს.

პრეზიდენტის ძეს ზაში ალარ დაუკრეს

ჯორჯ ბუში, რომელსაც, წესისამებრ, პრეზიდენტის წოდება შენარჩუნებული აქვს ამ თანამდებობიდან წასვლის შემდეგაც, შესაძლოა კვლავ დაუბრუნდეს თეთრ სახლს. ყოველ შემთხვევაში იგი ერთ-ერთი ფავორიტია იმ არჩევანისა, რომელიც რესპუბლიკურმა პარტიამ უნდა მოახდინოს თავის კანდიდატობის კანდიდატთა შორის. ამით აიხსნება ალბათ პრესისა და საზოგადოების დიდი ინტერესი მისი ძის გამოსვლისადმი პარტიის ხელმძღვანელობის კონფერენციაზე ქ. ინდიანოპოლისში. მის ასვლას კათედრაზე ფეხზე დამდგარნი ტაშით შეხვდნენ, მაგრამ ტაშით ალარ გააცილეს.

სტერილიზაცია სკანდინავიის ქვეყნებში

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს და უჯანსაღეს რეგიონში — სკანდინავიის ქვეყნებში ყველაზე მეტად გავრცელდა ადამიანებზე ზრუნვა მესაქონლეობის წესით — „გონებრივად ჩამორჩენილთა“ სტერილიზაცია. ამ ევგენიკური პრაქტიკის მწვერვალი შვედეთში 1996 წელზე მოდის. მაგრამ იგი შეწყდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ აიკრძალებოდა კანონმდებლობითი წესით (1976). სულ 1934 წლიდან 1976 წლამდე ჯიშის გამაჯანსაღებელ ოპერაციათა ობიექტი გახდა 40 ათასი ნორვეგიელი, 6 ათასი დანიელი და 60 ათასი შვედი. საინტერესოა, რომ ამ მოლვაწეობის პირველი იდეური დამცველნი ამ ქვეყნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიები იყვნენ.

შვედეთის ამჟამინდელმა სოციალურ საქმეთა მინისტრმა მარგო ფალსტრომმა ამ მოქმედებას „ბარბაროსული“ უწოდა.

სამარშრუტო მიკროავტობუსების მძღოლები ერთმანეთს დაერივნენ

გუშინ, გლდანის მასივის მერვე მიკრორაიონის ტერიტორიაზე, სამარშრუტო მიკროავტობუსთა მძღოლების საგაფიცვო ბატალიები დამთავრდა. გაერთიანება „თბილტრანსის“, მერისა და შესაბამისი სამსახურების უმოქმედობითა და უნიათობით გადაღლილმა მძღოლებმა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, „გააძევეს“ (მათი სიტყვებით: „დიდი თანხისა და ნაცნობობის ფასად, ჩაწყობით დათრეული“) №85 მარშრუტის მძღოლები. საქმეს ვერც „ზემოდან“ დაჰირებებმა უშველა და ვერც „თბილტრანსის“ შეფის, ბატონ ზურაბ ბაბუნაშვილის ადგილზე მისვლამ. პირიქით, გაფიცულებმა გენერალურ დირექტორს ისეთი ბრალდებები წაუყენეს, რომ ამ ამბის შემთხვევით შემსწრენიც კი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ.

დიდხანს ცდილობდა ბატონი ზურაბი, დაეყოლიებია ნერვებაშლილი მძღოლები, რათა 4 დღის ვადაში უმტკივნეულოდ მოეგვარებია თითოეული მარშრუტის, მოქმედების საზღვრების დადგენა, მაგრამ შეპირებებს გადაჩვეულმა თუ მუნიციპალიტეტის „ბრძნულ“ გადაწყვეტილებებზე ხელჩაქნეულმა გაფიცულებმა, მართალია არაცივილიზებული მეთოდით, მაგრამ (მათი სიტყვებით ამ შემთხვევაში ერთადერთი გზით) მოახერხეს ძალთა არათანაფარდობით ესარგებლათ, ჯიკავ-ჯიკავითა და კინწისკვრით გაეყარათ კონკურენტები მეტრო „ახმეტელის თეატრის“ ტერიტორიაზე, სადაც მათ, თურმე, წესით ეკუთვნოდათ დგომა.

„ფოტო-ნიუსი“

ტოტო-ლოტო

ტოტო-ლოტოს მოყვარულთა საყურადღებოდ!

კვირას, 7 ივნისს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები თამაშით „სუპერ-7“-ის ტირაჟის მეექვსე გათამაშება.

„ლოტო 6-42“-ის ტირაჟში მონაწილეობდა 53243 ვარიანტი, საპრიზო ფონდი შეადგენდა **6655** ლარს.

მოგებახვედრილი რიცხვებია: **1. 11. 28. 30. 32. 41.**

3 რიცხვი ამოცნობილია 1136 მოთამაშის მიერ. თითოეულს - 2,00 ლარი.

4 რიცხვი ამოიცნო 78-მა მოთამაშემ, თითოეულს - 17,00 ლარი.

5 რიცხვი ვერავინ გამოიცნო. ამ ჯგუფის გაუთამაშებელი საპრიზო ფონდი **998,30** ლარი, გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

6 რიცხვი ვერავინ გამოიცნო. ამ ჯგუფის გაუთამაშებელი საპრიზო ფონდი **39.641** ლარი, გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

„სუპერ-7“-ის გათამაშებაში მონაწილეობდა **7087** ბილეთი, მომგებიანი ციფრებია: **5 4 3 1 6 9 6**

1 ციფრი - 620 ბილეთში, თითოეულს 0.50 ლარი

2 ციფრი - 72 ბილეთში, თითოეულს 3 ლარი

3 ციფრი დაემთხვა 3 ბილეთში, თითოეულს 50 ლარი.

ტირაჟის დროს სატელევიზიო შოუში გათამაშდა შემდეგი პრიზები:

ვიდეო კამერა — (ალექსანდრე რაზგოევი — თბილისი)

ტელევიზორი — (გულნაზი კაშია — ქუთაისი)

ვიდეო მაგნიტოფონი — (გელა სამუკაშვილი — თბილისი)

აუდიო მაგნიტოფონი — (მარიამ ნოდარიშვილი — თბილისი)

ელექტრო ღუმელი — (ზაზა კანდელაკი — თბილისი)

სპორტული კომპლექტი — (დათო კანდელაკი — თბილისი)

პრიზი (500 ლარი) — (ალეკო ელბაქიძე — რუსთავი)

გათამაშდა აგრეთვე: ელექტრო და აუდიო ტექნიკა.

შემდეგი ტირაჟი შედგება 14 ივნისს, **ჯეკ-პოტი 39641** ლარი.

ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი.

მიირთვით

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი

თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5
ტელ: 99-60-20, 93-36-93, 99-59-09, 79-50-05 (საღამოს)

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ:

საერთაშორისო მოთხოვნების დონეზე დაეუფლოთ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს;

მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უცხოეთში სერთიფიცირებული პროფესორ-მასწავლებლების ლექცია-სემინარები;

ისწავლოთ თანამედროვე კომპიუტერული სისტემით აღჭურვილ უმაღლეს სასწავლებელში;

შეისწავლოთ უცხო ენები თანამედროვე ტექნიკური საშუალებების გამოყენებით;

ისწავლოთ ქალაქის ცენტრში;

მიმართეთ აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახ. საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარულ ინსტიტუტს, რომელიც აცხადებს მიღებას 1998-99 სასწ. წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. **სამართალმცოდნეობა** (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სამეურნეო სამართალი, საერთაშორისო სამართალი)
2. **ავტოტექნიკური ექსპერტი**
3. **საგარეო უწყებათა მომსახურება**
4. **ფინანსები და კრედიტი** (საგადასახადო საქმე, საბანკო საქმე, საბაჟო საქმე, სახ. ბიუჯეტი, სადაზღვევო საქმე)
5. **საერთაშორისო ეკონომიკა და მართვა** (მარკეტინგი, მენეჯმენტი);
6. **საბუღალტრო აღრიცხვა, აუდიტი, კონტროლი;**
7. **წარმოების ეკონომიკა და მართვა** (მარკეტინგი, მენეჯმენტი);
8. **საზღვარგარეთის ქვეყნების ენა და ლიტერატურა** (ინგლისური, გერმანული, თურქული);
9. **ჟურნალისტიკა;**
10. **ისტორია;**
11. **ქართული ენა და ლიტერატურა;**
12. **დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა;**
13. **პედაგოგის ფსიქოლოგია — სკოლამდელი**
14. **ხელოვნებათმცოდნეობა**

ინსტიტუტში სწავლის ხანგრძლივობა **ოთხი წელი.**

საბუთები მიიღება 2 აგვისტომდე, ყოველდღიურად (გარდა შაბათ-კვირისა) 11-დან 17-საათამდე III სართ. ოთახი 507. მისაღები გამოცდები დაიწყება 3 აგვისტოდან. II ეტაპზე საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. გამოცდები 26-30 აგვისტოს.

საბუთები — საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები გადაიხდიან სწავლის საფასურის 80-ს. წარჩინებული სტუდენტები განთავისუფლდებიან გადასახადისაგან და დაენიშნებათ სტიპენდია. ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბუღალტერიისა და უცხო ენების შემსწავლელი კურსები. მომავალში გათვალისწინებულია ბაზრის კონიუქტურის შემსწავლელი ცენტრის დაარსება და მასში ინსტიტუტის სტუდენტების დასაქმება.

უმაღლეს დამთავრებულები გასაუბრებით ჩაირიცხებიან შესაბამის კურსზე.

საბუთები — უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი და ფოტოსურათი 3-4 ოთხი ცალი.

ინსტიტუტის დამფუძნებელია **საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია.**

რექტორია ამ აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფ. **ლეო ჩიქავა.**

შენიშვნა: ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე იქნება სპეციალიზაცია შემდეგი განხრით: ჟურნალისტი-ეკონომისტი, ჟურნალისტი-უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით, ტელეჟურნალისტი, რადიოჟურნალისტი და საგაზეთო საქმე.

სტუდენტები ხელშეკრულების საფუძველზე საგაზეთო საქმეს პრაქტიკულად შეისწავლიან გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ბაზაზე. ტელე-რადიოჟურნალისტიკის შესაბამის ტელე-რადიოკორპორაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

სათანადო მონაცემების მქონე სტუდენტებს (შერჩევით) შესაძლებლობა ექნებათ იმუშაონ გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში. რედაქციის ტელ: 93-20-36, 93-18-41.



თარაზულად: 3. აღორძინების ხანა იტალიაში; 10. კაპიტალის პროცენტად მიღებული რეგულარული შემოსავალი; 11. ქვანტური ნაწილაკის საკუთარი მექანიკური მომენტი; 12. მამალი ცხენი;. 13. ორგანიზმის ავადმყოფური რეაქცია უცხო ორგანიზმის ან ცილის განმორებით ზემოქმედებაზე; 14. სახელურიანი დასაკეცი სათვალე; 15. ნესტიანი, სისველემოკიდებული; 17. ბიბლიური წინასწარმეტყველი, რომლის სახელობის გორაზეც, თბილისში, შენდება ტაძარი; 18. მარცვლეულის სალეწი ადგილი; 19. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 20. ბუნებრივი წითელი საღებავის მომცემი მცენარე; 22. ცისარტყელას ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 23. ტანსაცმლის სიღრმე მკერდთან; 25. წვრილი გახვრეტილი ბურთულა, ძაფზე ასასხმელად განკუთვნილი; 26. ორგანიზმის ნაწილი ან ნივთიერება, მომზადებული შეტნიერული კვლევისათვის; 27. კუბის დაწესებულებაში არსებული კერძების ჩამონათვალი; 29. ძველსკანდინავური ეპიკური ლიტერატურული ძეგლი; 30. გათვითცნობიერებული მოსალოდნელი ხიფათი, საშიშროება; 33. რისამე მოქმედების გავრცელების გარემო; 35. იერუსალიმში ქრისტეს შესვლის სიმბოლოდ მიღებული მარადმწვანე მცენარე; 36. კლიმატი; 37. ცხენშებმული მსუბუქი ოთხთვალა; 39. ტელის შიგთავსი ქონისებრი მასა; 41. ქრისტეს ჯვარცმის ადგილი; 42. ტამოკითხვა ცოდნის შემოწმების მიზნით; 43. მღვდელთმთავრის ქუდი; 45. ფეოქბადი ბურვი; 46. ფენა, რითაც გარემოცულია რაიმე სხეული; 47. საქორწინო ლექსი ან სიმღერა ანტიკურ პოეზიაში.

შვეულად: 1. არქეოლოგიური ძეგლებით მდიდარი მხარე სამხრეთ საქართველოში; 2. მეავაგამძლე ქანი, სამშენებლო მასალა; 3. თანამდებობრივი თანრიგი, ხარისხი; 4. მცირედი განსხვავება, ელფერი; 5. ფუტკრის სახლი; 6. ხელოვნური ბოჭკო და ქსოვილი; 7. მშვილდით სატყორცნი ჯოხი; 8. წიაღისეული ქიმიური ნაერთი; 9. თევზისმოლოლიანი ტკბილზმიანი ზღვის ქალი ბერძნულ მითებში; 16. ფრანგი მოხეტიალე მომღერალი პოეტი შუა საუკუნეებში; 19. უძველესი იტალიური ქალაქი ნეაპოლის მახლობლად; 21. არაბი ხელისუფალი ძველ საქართველოში; 23. თვალის ნაწილი ღაწვიდან ქუთუთომდე; 24. წელთაღრიცხვის საწყისი მომენტი; 27. ამერიკული წარმოშობის ძირფესვი წითელმერწყნიანი ხე; 28. თბილისის ძველი უბანი, ისნის მომიჯნავე; 31. შექმნილი პირობები, გარემოება, მდგომარეობა; 32. მიმსგავსება, მიბაძვა; 34. გრავიურის ავტორისეული ანაბეჭდი ქაღალდზე; 35. მატარებლის მომსახურე პერსონალი; 38. ფრანგი პოეტი, რომანისტი, კრიტიკოსი, ავტორი პრინციპისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“; 40. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 44. ბუნებრივი წყალსატევი, ზღვასთან დაუკავშირებელი.

განცხადებები

იყიდება 2500 კვ. მ. ეზო ხეხილით, 2 სათბურით, 1-სართულიანი სახლით საგურამოს ცენტრში. ტ: 39-31-75

იყიდება 7000 კვ. მ. საქმიანი ეზო კაპიტალური საწყობებით, ტექნიკით ან ტექნიკის გარეშე თბილისის ცენტრში. ტ: 39-31-75

ვასწავლი გიტარაზე და ფორტეპიანოზე დაკვრას საესტრადო განხრით, სწრაფი მეთოდით. ყველა ასაკის მსურველმა დარეკოს. ტ: 95-89-97 იზაბელა

იყიდება სასწრაფოდ, იაფად, საბურთალოს ქუჩაზე, იპოდრომთან, მე-4 სართულზე, არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა ლოჯით. მიშენებულია 40 კვ. მ. ბინა. ახალი პროექტით 5-ოთახნახევრიანია. ოთახები იზოლირებულია. კედლები სათავსოებით, აქვს სარდაფი, მანქანის სადგომი, ნაწილობრივ სარემონტოა, საწ. ფასი 32000 დოლარი. ტელ: 72-35-66 დოდო ან ნათია.

წინა (№40) ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კრეზისი; 5. კაპრალი; 9. როკეა; 11. რეგრესი; 12. იორდანე; 13. ეჯიბი; 14. ავიზო; 15. აფიშა; 16. ისიდა; 19. კარმა; 21. ელიტა; 23. იაგუარი; 24. რემონტი; 26. მამაი; 28. იურტა; 29. აქცია; 32. კრედო; 34. ჯაჭვი; 36. ტურფა; 37. ეპიზოდი; 41. ანალიზი.

შვეულად: 1. კორნეტი; 2. ინგლისი; 3. ი